თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სამაგისტრო თემის სათაური:

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულის ერთ-ერთი სახე

ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი: მაკა მუმლაძე

თემის ხელმძღვანელი: პროფ. არჩილ შეყლაშვილი

0156, თბილისი, საქართველო

2021

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

,,ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მაკა მუმლაძის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულის ერთ-ერთი სახე“ და ვაძლევთ რეკომენდაციას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიაში მისი განხილვის თაობაზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი _____

ხელმძღვანელი : პროფ. არჩილ შეყლაშვილი

_____

რეცენზენტი:

_____

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

_____

ავტორი: მაკა მუმლაძე

ნაშრომი: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულის ერთ-ერთი სახე

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: სისხლის სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

რეზიუმე

დღევანდელ რეალობაში ადამიანით ვაჭრობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გლობალურ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და რეგიონში გვხვდება. ტრეფიკინგის დროს ადამიანური რესურებს საკუთარი მოგებისა და მიზნის მისაღწევად გამოიყენებენ. ტრეფიკინგში იგულისხმება ადამიანების დაქირავება, ტრანსპორტირება, სექსუალური ექსპლუატაცია, გადაყვანა, თავშესაფარში მიყვანა ან მიღება ძალადობრივი გზით, თაღლითობით ან მოტყუებით, საკუთარი მიზნის მისაღწევად. ყველა სქესის, ასაკისა და წარმოშობის ადამიანი შეიძლება გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი.

ყოველ წელს მატულობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა. მსოფლიო მასშტაბით, ადამიანით ვაჭრობის შემთხვევები საშუალოდ 25 მილიონამდე ადამიანს შეადგენს. ოფიციალურად რეგისტრირებული ადამიანით ვაჭრობის ფაქტებიდან მცირე რაოდენობა არის გახსნილი. მამაკაცები, ქალები და ბავშვები, განურჩევლად ასაკისა და წარმოშობისა, შეიძლება გახდნენ ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლნი, მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში. ადამიანებით მოვაჭრეები მიმართავენ ძალადობას, თაღლითური დასაქმების სქემებს და ყალბ დაპირებებს განათლებისა და სამუშაო ადგილების შესახებ მსხვერპლის მოსატყუებლად. ორგანიზებული ქსელები ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ტრეფიკინგის - მომგებიანი დანაშაულის უკან დგანან, სარგებლობენ დაუცველი, სასოწარკვეთილი ან უკეთესი ცხოვრების მაძიებელი ადამიანებით.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია მსოფლიოს ყველა ქვეყანა. ტრეფიკინგი განსაზღვრულია გაეროს ტრეფიკინგის პროტოკოლში, რომელიც მოყვანილია გაეროს კონვენციაში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. ადამიანით

ვაჭრობის საკითხი საქართველოშიც ძალზედ პრობლემატურია, რაც განპირობებულია ქვეყნის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და რთული ეკონომიკური მდგომარეობით. ამიტომაც, საქართველო ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობისა და ტრანზიტის სახელმწიფოდ არის მიჩნეული. საქართველოს მოქალაქეებში ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების ზრდას ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, განათლებისა და ტრეფიკინგის რისკების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე. გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი - მილიონ ადამიანზე მეტი საზღვარგარეთაა წასული სამუშაოს საძებნელად. მათი უმეტესობა უცხო ქვეყანაში არალეგალურად მუშაობს და ცხოვრობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდია რისკი მსგავსი ტიპის ადამიანები მოხვდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა სიაში.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ადამიანით ვაჭრობის ცნება და მნიშვნელობა, აგრეთვე, აღწერილია პროცესი და გამომწვევი მიზეზები იმისა, თუ რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემა ადამიანით ვაჭრობა არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზე. ნაშრომში აღწერილია ადამიანით ვაჭრობისა და ტრეფიკინგის ისტორიული წარმოშობის საწყისები და პირველი მცდელობები მისი დანაშაულად გამოცხადება და მის წინააღმდეგ ბრძოლის ნაბიჯები. მოყვანილია ტრეფიკინგის მახასიათებლები. დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ ქვეყნების მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის შესაბამისად, ტრეფიკინგის მახასიათებლები სხვადასხვა აქვთ, თუმცა, ტრეფიკინგის ძირითადი გამომწვევი მიზეზები მთელ მსოფლიოში უმეტესწილად მსგავსია. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მოწყვლად ჯგუფებზე, როგორიცაა ქალები, ბავშვები, უმცირესობები, ლგბტქი+ პირები, სხვ.

წინამდებარე ნაშრომში აღწერილია სტატისტიკური მდგომარეობა ადამიანით ვაჭრობის მხრივ საქართველოსა და მსოფლიოში. ადამიანით

ვაჭრობის სამი ძირითადი საქმიანობიდან ყველაზე დიდი რაოდენობის შემთხვევები იძულებით მუშაობაზე მოდის, ხოლო მეორე ადგილზეა სექსუალური ექსპლუატაცია. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი ზრდა შეინიშნება სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებში როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ნიშანდობლივია, რომ დანაშუალის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად არ ხდება ოფიციალური განაცხადის გაკეთება, შესაბამისად, ყველა ტრეფიკინგის შემთხვევა ვერ აღირიცხება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანით ვაჭრობის უფრო მეტი შემთხვევაა, ვიდრე მოცემულია ოფიციალურ მონაცემებში. ნაშრომში აღწერილია COVID 19-ის შედეგად, საზღვრების დაკეტვისა და მრავალ ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნის პარალელურად გაჩენილი ტრეფიკინგის რისკები.

ნაშრომში, აგრეთვე, აღწერილია საკანონმდებლო აქტები და კონვენციები, რომელიც მიღებულია საქართველოსა და მსოფლიო დონეზე. ასევე, განხილულია სასამართლო რეალობა, მოყვანილია დაკსვნები და რეკომენდაციები საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. კერძოდ, ადამიანით ვაჭრობის ძირითადი მიზეზების გააზრებით, ქვეყნებმა უნდა დაიწყონ ისეთი საბაზისო გამოწვევებისა და პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, განათლებისა და ცნობიერების გაზრდა, ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება, ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ კანონების მიღება, განხორციელება და აღსრულება, მსხვერპლთათვის მაღალი ხარისხის ჯანდაცვისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობის შექმნა, სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა, არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა და სხვა.

Abstract

In today's reality, human trafficking is one of the most important global problems that can be found in every country and region of the world. During trafficking, human resources are used by traffickers to achieve their own profit and purpose. Hiring, transportation, sexual exploitation, transfer, sheltering human with violence, fraud or deception for their own purposes are meant with the term "trafficking". People of all genders, ages and backgrounds can become victims of trafficking.

The number of victims of trafficking is increasing every year. There are about 25 million cases of trafficking in the world. A small proportion of officially registered trafficking cases have been identified. Men, women and children, regardless of age and origin, can be trafficked to any region of the world. Traffickers use violence, fraudulent employment schemes, and false promises about education and jobs to deceive victims. Organized trafficking networks or groups of people, which are behind the profitable crime, benefit from vulnerable, desperate or better-looking people.

All countries of the world are involved in the fight against human trafficking. Trafficking is defined in the UN Trafficking Protocol, which is set out in the UN Convention against Transnational Organized Crime. The issue of human trafficking is also very problematic in Georgia, which is due to the important geopolitical location of the country and the difficult economic situation. Therefore, Georgia is considered a country of origin and transit for victims of trafficking. The increase in human trafficking cases among Georgian citizens is facilitated by the economic situation of the country, the low level of awareness about the risks of education and trafficking. In addition, a large part of the population of Georgia - more than a million people have gone abroad in search of work. Most of them work

and live illegally in a foreign country. Due to the above, there is a high risk that such people will be involved in the list of victims of trafficking.

The master's thesis discusses the concept and importance of human trafficking, as well as describes the process and reasons why human trafficking is such an important and acute problem not only in Georgia, but also internationally. The paper describes the beginnings of the historical origins of human trafficking, the first attempts to criminalize it and steps to combat it. The characteristics of trafficking are given. In conclusion, due to the diversity of countries, the they have different characteristics of trafficking; however, the main causes of trafficking are largely similar around the world. The paper focuses on vulnerable groups such as women, children, minorities, LGBTQ+ people, etc.

This paper describes the statistical situation in terms of human trafficking in Georgia and in the world. The largest number of cases out of the three main activities of human trafficking are forced labor, followed by sexual exploitation. It should be noted that the largest increase is observed in cases of sexual exploitation both in Georgia and in other countries of the world. It is noteworthy that due to the specifics of the crime, there is often no official application, therefore, not all cases of trafficking can be recorded, which means that there are more cases of human trafficking than given in the official data. The paper describes the risks of trafficking as a result of COVID 19, along with border closures and asylum applications in many countries.

The paper also describes the legislative acts and conventions adopted in Georgia and worldwide. Also, the judicial reality is discussed, conclusions and recommendations based on best practices are presented. In particular, in understanding the root causes of human trafficking, countries need to address key challenges and issues such as protecting human rights, raising education and awareness, improving economic opportunities, enacting and enforcing trafficking

laws, providing high quality health care for victims, and other services, cooperating with foreign countries, establishing the international court of trafficking, supporting non-governmental organizations and so on.

შინაარსი

რეზიუმე 4

Abstract 7

შინაარსი 10

შესავალი 11

1. ადამიანით ვაჭრობის, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულის მახასიათებლები 14

1.1. რას გულისხმობს ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)? 14

1.2. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიული საწყისები მსოფლიოსა და საქართველოში 16

1.3. ადამიანით ვაჭრობის მახასიათებლები 18

1.4. ადამიანით ვაჭრობა და ქალები 25

1.5. ადამიანით ვაჭრობა და უმცირესობები 29

1.6. ადამიანით ვაჭრობა და ბავშვები 30

2. ადამიანით ვაჭრობის არსებული სტატისტიკური მაჩვენებლები 34

2.1. ადამიანით ვაჭრობის სტატისტიკური მაჩვენებლები მსოფლიოში 34

2.2. ადამიანით ვაჭრობის სტატისტიკური მაჩვენებლები საქართველოში 38

2.3. კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენა ადამიანით ვაჭრობის ტენდენციაზე 40

3. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე 43

3.1. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში 43

3.2. ადამიანით ვაჭრობის წინაარმდეგ ბრძოლის უცხოური პრაქტიკა 47

4. ადამიანით ვაჭრობის (ტეფიკინგის) სისხლისსამართლებრივი რეგულირება ქართულ კანონმდებლობაში და ჰარმონიზაცია ევროპულ ნორმებთან 54

4.1. ადამიანით ვაჭრობის (ტეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ნორმები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 54

4.2. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ ნორმებთან 57

დასკვნა 61

გამოყენებული ლიტერატურა 65

შესავალი

თანამედროვე სამყაროში ადამიანით ვაჭრობა ანუ ტრეფიკინგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. ტრეფიკინგში იგულისხმება ადამიანების დაქირავება, ტრანსპორტირება, სექსუალური ექსპლუატაცია, გადაყვანა, თავშესაფარში მიყვანა ან მიღება ძალადობრივი გზით, თაღლითობით ან მოტყუებით, საკუთარი მიზნის მისაღწევად. მამაკაცები, ქალები და ბავშვები, განურჩევლად ასაკისა და წარმოშობისა, შეიძლება გახდნენ ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლნი, მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში. ტრეფიკინგის ჩამდენი დამნაშავეები ხშირად იყენებენ ძალადობას ან თაღლითური დასაქმების სააგენტოებს, გასცემენ ყალბ დაპირებებს განათლებისა და სამუშაო ადგილების შესახებ, რათა შეძლონ მსხვერპლის მოტყუება.[1]

XXI საუკუნის მსოფლიოსთვის ტრეფიკინგი საშიშ პრობლემად იქცა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ტრეფიკინგის ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია, აგრეთვე, მისი გავრცელების მასშტაბურობა ფართოა. ყოველ წელს მატულობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა. მსოფლიო მასშტაბით, ადამიანით ვაჭრობის შემთხვევები საშუალოდ 25 მილიონამდე ადამიანს შეადგენს.[2] ოფიციალურად რეგისტრირებული ადამიანით ვაჭრობის ფაქტებიდან მცირე რაოდენობა არის გახსნილი. აღნიშნული საკითხი საქართველოშიც ძალზედ მნიშვნელოვანია. იგი ქვეყანას საფრთხეს უქმნის, რომელიც განპირობებულია ქვეყნის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და რთული ეკონომიკური მდგომარეობით.[3] ადამიანით

[1] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), *Crime - Human Trafficking,* 2021
[2] International Labour Organization (ILO), *Annual Report 2017*, Geneva, 2018
[3] ნათმელაძე, მ., დაუშვილი, ა., *საქართველოს უახლესი ისტორია,* 2005

ვაჭრობის რისკს საქართველოს მოქალაქეებისთვის, აგრეთვე, ზრდის ის ფაქტიც, რომ ქვეყნის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი - მილიონ ადამიანზე მეტი საზღვარგარეთაა წასული სამუშაოს საძებნელად. მათი უმეტესობა უცხო ქვეყანაში არალეგალურად მუშაობს და ცხოვრობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობისა და ტრანზიტის სახელმწიფოდ არის მიჩნეული.[4]

ტრეფიკინგის პრობლემა სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს შესაბამის რეაგირებას, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებს საკითხის კვლევასა და რელევანტურ ნაბიჯებს. სწორედ მისი სიმწვავე განაპირობებს **კვლევის აქტუალობას.**

სამაგისტრო ნაშრომის **პრაქტიკული მნიშვნელობა** გამოიხატება იმაში, რომ მასში მოცემულია ტრეფიკინგის შესახებ მნიშვნელოვანი ასპექტები, არსებული პრობლემები; ნაშრომში მოყვანილია დასკვნები და რეკომენდაციები პრობლემის მოგვარებისა და ადამიანით ვაჭრობის შემცირების მიზნით. აგრეთვე, სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დასმულ პრობლემათა შემდგომი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი.

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი **მიზანია** იმ თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კომპლექსური ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანით ვაჭრობასთან. კერძოდ, ნაშრომში განმარტებულია ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მისი ეროვნული და საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება, აგრეთვე, ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზები, გაკეთებულია დასკვნები შესაბამისი ლიტერატურული წყაროების მოშველიებით.

[4] International Organization for Migration, *Migration in Georgia: a Country Profile*, 2008, გვ. 12

აღნიშნული ნაშრომის **კვლევის საგანს** წარმოადგენს ადამიანთა ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვა.

სამაგისტრო ნაშრომში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია დოგმატური და ნორმატიული **კვლევის მეთოდები**, აგრეთვე, შედარებით სამართლებრივი და ანალიზის მეთოდები. ნაშრომში განხილულია სამეცნიერო ლიტერატურა, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, სახელმწიფოს მიერ მომზადებული ოფიციალური მონაცემები, სამართლებრივი აქტები და სხვ.

ნაშრომის სტრუქტურა: წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავის, 14 ქვეთავისა და დასკვნისაგან.

1. ადამიანით ვაჭრობის, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულის მახასიათებლები

1.1. რას გულისხმობს ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)?

ადამიანით ვაჭრობა, ეგრეთ წოდებული ტრეფიკინგი, გლობალურ დანაშაულს წარმოადგენს. ტრეფიკინგის დროს იყენებენ ადამიანურ რესურებს საკუთარი მოგებისა და მიზნის მისაღწევად. ყველა სქესის, ასაკისა და წარმოშობის ადამიანი შეიძლება გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი. ადამიანით ვაჭრობა ხდება მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და რეგიონში. ადამიანებით მოვაჭრეები მიმართავენ ძალადობას, თაღლითური დასაქმების სქემებს და ყალბ დაპირებებს განათლებისა და სამუშაო ადგილების შესახებ მსხვერპლის მოსატყუებლად.[5] ორგანიზებული ქსელები ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ტრეფიკინგის - ამ მომგებიანი დანაშაულის უკან დგანან, სარგებლობენ დაუცველი, სასოწარკვეთილი ან უკეთესი ცხოვრების მაძიებელი ადამიანებით. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განსაზღვრულია გაეროს ტრეფიკინგის პროტოკოლში, რომელიც მოყვანილია გაეროს კონვენციაში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. კერძოდ, ტრეფიკინგი ესაა - „პირის დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, დაბინავება ან ექსპლუატაცია ისეთი საშუალებებით, როგორიცაა მუქარა ან ძალის გამოყენება ან იძულების სხვა ფორმები: გატაცება, თაღლითობა ან მოტყუება“.[6]

ტრეფიკინგის დანაშაული სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება, ესენია:

---

[5] United Nations, *Human Trafficking*, 2021

[6] United Nations, *United Nations Convention Against Transnational Organized Crime and the Protocols Thereto,* New York, 2004, გვ. 43-45

1. ტრეფიკინგის ქმედება - გულისხმობს პირთა დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, თავშესაფრის მიცემას ან გამოყენებას.
2. ტრეფიკინგის საშუალებები - მოიცავს ძალის ან მუქარის გამოყენებას, მოტყუებას, იძულებას, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.
3. ტრეფიკინგის მიზანი - ყოველთვის არის ექსპლუატაცია (იხილეთ სურათი 1).[7]

სურათი 1. ტრეფიკინგის შემადგენელი ნაწილები

ადამიანით ვაჭრობას მრავალი ფორმა აქვს, რომელიც ვლინდება სექსის, გართობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში, აგრეთვე, სახლში იძულებით მუშაობისა და ქორწინების დროს. დაზარალებულები იძულებულნი არიან

[7] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), *Crime - Human Trafficking*, 2021

იმუშაონ ქარხნებში, სამშენებლო ობიექტებზე ან სოფლის მეურნეობის სექტორში ხელფასის გარეშე ან არაადეკვატურად მცირე ხელფასით, ძალადობის შიშით, და ხშირად არაჰუმანურ პირობებში. ზოგიერთ მსხვერპლს ატყუებენ ან აიძულებენ ორგანოების მოცილებას, შემდგომი გამოყენების მიზნით. ბავშვები იძულებულს ხდიან იმსახურონ ჯარისკაცად ან ჩაიდინონ დანაშაული კრიმინალების სასარგებლოდ.

გაეროს ნარკოტიკებისა და კრიმინალის ოფისის მიერ განსაზღვრულია ადამიანით ვაჭრობის შემდეგი სახეები:

- სექსუალური ექსპლუატაცია;
- იძულებით მუშაობა;
- დამონება;
- საოჯახო მსახურება;
- ორგანოების ამოცლა;
- იძულებითი მათხოვრობა;
- იძულებით ჯარში წაყვანა;
- იძულებითი ქორწინება.[8]

1.2. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიული საწყისები მსოფლიოსა და საქართველოში

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მიჩნეულია, როგორც მონობის თანამედროვე და სახეშეცვლილი ფორმა, თუმცა მას საკმაოდ დიდი ისტორია გააჩნია. ოდითგანვე მიღებული იყო ადამიანის ჩაგვრა, რაც, გარკვეულწილად, ტრეფიკინგის საწყისებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ადამიანებით ვაჭრობის, გლობალური ტრეფიკინგის, ადრინდელი ფორმა

[8] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), *Crime - Human Trafficking*, 2021

აფრიკის ქვეყნებში მონებით ვაჭრობით დაიწყო. აფრიკის სხვადასხვა ჯგუფები წარმოადგენდნენ ამერიკისა და ევროპის კონტინენტების (მყიდველები) ვაჭრობის ობიექტებს. სწორედ აქედან დაიწყო ტრეფიკინგის პირველი ცნობილი საერთაშორისო საქმიანობა.

1800-იან წლებში მსოფლიომ დაიწყო მონობის წინააღმდეგ კანონმდებლობის შემუშავება. 1850-იან წლებში, ბრაზილიამ, რომელიც აფრიკელი მონების ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყანა იყო, აკრძალა მონებით ვაჭრობა.[9] 1807 წლამდე, ბრიტანეთის მიერ მონობის წინააღმდეგ პირველი კანონის მიღებამდე, ადამიანებით ვაჭრობა იყო ლეგალური საქმიანობა. 1802 წელს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდ ბრიტანეთს მიბაძა და აკრძალა მონობა, ამერიკის სამოქალაქო ომამდე 40 წლით ადრე. იმ დროს არ არსებობდა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც შეეძლოთ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ერთდროულად მრავალი ქვეყნისთვის.[10]

საქართველოში, ადამიანით ვაჭრობა განსაკუთრებით მძაფრი იყო მე-15-16 საუკუნეებში. იმ პერიოდში საქართველო მტრების შემოსევების ქვეშ იყო. ქვეყანა დაყოფილი იყო სამთავროებად, ვერ ახერხებდა საკუთარი მოსახლეობის დაცვასა და კანონის აღსრულებას. მწვავე იყო ახალგაზრდების გადაცება, რომელთაც სხვა ქვეყანაში მონათა ბაზარში ჰყიდდნენ. განსაკუთრებით ბევრი ქართველი ახალგაზრდა იყიდებოდა სტამბულისა და ეგვიპტის ბაზარში, სადაც ქართველი ტყვეები დიდად ფასობდნენ.[11]

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ძალზე გამწვავებული იყო ადამიანით ვაჭრობა, ამიტომაც, სახელმწიფომ გარკვეულ ზომებს მიმართა. პირველი, ვინც ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, იყო იმერეთის მეფე სოლომონ პირველი. 1759 წელს მან დიდებულებს ტყვეების

---

[9] SAGE, *Introduction and History of Human Trafficking and Modern Day Slavery*, 2018, გვ. 50
[10] Oster G., *The History of Human Trafficking,* 2015
[11] ბაძაღუა მ., *ადამიანთა ვაჭრობა - ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე),* თბილისი, 2011, გვ. 13

გაუსყიდველობაზე ხელწერილი დააწერინა. ამ პროცესში, ოდნავ მოგვიანებით, ეკლესიაც ჩაერთო. „კათალიკოსთა სამართალი“ პირველი მცდელობაა საქართველოში იმდროინდელ მოქმედ კანონში ადამიანებით ვაჭრობისთვის სიკვდილით დასჯის შეტანის მხრივ. კანონი კრძალავდა მხოლოდ ქართველთა გაყიდვას.[12]

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში აკრძალა ტრეფიკინგი, მაგრამ საქართველოში კვლავ დიდ ხანს გრძელდებოდა ადამიანების გატაცებები მონებად გაყიდვის მიზნით.

იქედან გამომდინარე, რომ საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი საზღვრების მქონე ქვეყანა იყო, სადაც სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს ფლობდა, ტრეფიკინგისა და ადამიანით ვაჭრობის შემთხვევები ნაკლებად ხდებოდა, ან შესაძლოა ხდებოდა, მაგრამ ნაკლებად აღირიცხებოდა. თუმცა, აღსანიშნავია რთულად ხელმისაწდვომი, მაღალმთიანი რეგიონები, სადაც კვლავ ხდებოდა ადამიანით ვაჭრობა.[13] საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საზღვრების გახსნის შედეგად, გაიზარდა ტრეფიკინგის შემთხვევები, რომელზეც, აგრეთვე, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობაც ახდენს გავლენას.

1.3. ადამიანით ვაჭრობის მახასიათებლები

ადამიანით ვაჭრობა კომპლექსური და ფართოდ გავრცელებილი დანაშაულია, რომელიც უამრავ გამოწვევასა და პრობლემას ქმნის, რაც ანალიზსა და ჩარევას საჭიროებს. ტრეფიკინგს თავისი კონკრეტული

[12] დოლიძე ი., *ქართული სამართლის ძეგლები,* თბილისი, 1963, გვ. 603

[13] ბაძაღუა მ., *ადამიანთა ვაჭრობა - ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე)*, თბილისი, 2011, გვ. 19

მახასიათებლები გააჩნია. ადამიანით ვაჭრობის ერთ-ერთი ასპექტია ადამიანის ექსპლუატაცია. ტერმინს "ექსპლუატაცია" შეიძლება ჰქონდეს ორი განსხვავებული მნიშვნელობა: 1) რაიმეს გამოყენება ნებისმიერი მიზნის მისაღწევად. ამ შემთხვევაში, ექსპლუატაცია სიტყვა „გამოყენების“ მნიშვნელობით იხმარება; 2) რაიმეს გამოყენება არასამართლიანი ან სასტიკი გზით. იგი მოიცავს ადამიანების პროსტიტუციაში იძულებით ჩართვას ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებითი შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს ქმედებებსა და ორგანოების იძულებით ამოცლას. ბავშვების შემთხვევაში, ექსპლუატაცია შეიძლება მოიცავდეს იძულებით პროსტიტუციას, საერთაშორისო დონეზე არალეგალურად შვილად აყვანას, ადრეულ ქორწინებას, ან ბავშვების იძულებით გამოყენებას, როგორც ჯარისკაცებად, მათხოვრებად, სპორტული ან რელიგიური მიზნებისთვის.[14]

სექსუალური ექსპლუატაციაც ადამიანით ვაჭრობის კიდევ ერთი ასპექტია. სექსუალური ექსპლუატაციის შედეგად, ადამიანი იძულებულია ჩაერთოს სექსუალურ მონობაში. ტრეფიკინგის ოქმში განზრახ არ არის განსაზღვრული ფრაზა ”სხვისი პროსტიტუციის გამოყენება ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმები”, რადგანაც აღნიშნულის შესახებ შეთანხმება ჯერ კიდევ ვერ იქნა მიღწეული. თუმცა, ყველა დელეგატი თანხმდება, რომ სექსუალური მონობა ტრეფიკინგის ერთ-ერთი სახეობაა.[15]

ტრეფიკინგის მახასიათებელია იძულება, რაც გულისხმობს ადამიანის იძულებას ან მანიპულირებას არასასურველი ქცევის განსახორციელებლად, მუქარის, დაშინების ან სხვა სახის ზეწოლის ან ძალის გამოყენებით. აღნიშნული გამოიყენება როგორც ბერკეტი, რათა აიძულო მსხვერპლი იმოქმედოს მოძალადის მიერ, სასურველი გზით. იძულება შეიძლება

[14] ACRATH, *Aspects of Human Trafficking*, Melbourne, 2021
[15] Global Alliance Against Traffic in Women, *Traffic in Women*, Bangkok, 2021

მოიცავდეს ფიზიკურ ტკივილსა და დაზიანებას ან ფსიქოლოგიურ ზიანს. შემდგომი ზიანის საშიშროებამ შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლის თანამშრომლობა ან მორჩილება. წამება არის იძულების ერთ-ერთი უკიდურესი მაგალითი.[16]

მორჩილება ფინანსური ვალდებულებების გამო ტრეფიკინგის ერთ-ერთი სახეა. მორჩილება ფინანსური ვალდებულებების გამო წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სესხის უზრუნველყოფა ხდება შრომითი მომსახურებით, რომლის ხანგრძლივობა და ხასიათი არ არის შეზღუდული ან/და განსაზღვრული, ხოლო მისი ღირებულება არ აკლდება სესხის რაოდენობას. მოვალეს შეუძლია სესხის უზრუნველყოფის სახით შეასრულოს გარკვეული მომსახურება.[17]

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კონტექსტში, "მოთხოვნა" დაკავშირებულია იმ ადამიანებთან (მათგან 90% მამაკაცია), რომლებიც უხდიან თანხას პროსტიტუციის მუშაკებს სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ. როდ–აილენდის უნივერსიტეტის პროფესორის დონა ჰიუზის თანახმად, მოთხოვნილებას ქმნის ოთხი კომპონენტი:

1) მამაკაცები, რომლებიც ყიდულობენ სექსუალურ მომსახურებას;

2) ექსპლუატატორები, რომლებიც ქმნიან სექსის ინდუსტრიას;

3) სახელმწიფოები, რომლებიც არიან დანიშნულების ქვეყნები;

4) კულტურა, რომელიც იტანს ან ხელს უწყობს სექსუალურ ექსპლუატაციას.[18]

ტრეფიკინგი ხდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სხვადასხვა ფორმით; ამასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზეზები არსებითად იგივეა

[16] ACRATH, *Aspects of Human Trafficking*, Melbourne, 2021
[17] იქვე;
[18] Hughes D. M., *Combating Sex Trafficking: A Perpetrator-Focused Approach*, Rhode Island, 2008, გვ. 33

შრომითი ტრეფიკინგის, სექსუალური ტრეფიკინგის, ბავშვთა ტრეფიკინგისა და თანამედროვე მონობის ყველა სხვა ტიპისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა მახასიათებლები აქვთ, ტრეფიკინგის ძირითადი გამომწვევი მიზეზები მთელ მსოფლიოში, უმეტესწილად, მსგავსია.

რა შეიძლება იყოს ტრეფიკინგის მიზეზები? ტრეფიკინგის საწყისის ცოდნისა და გაანალიზების შემთხვევაში, შესაძლებელია ტრეფიკინგის მოგვარება უფრო ღრმა დონეზე და მდგრადი ცვლილებებისთვის ხელის შეწყობა. მიუხედავად ქვეყნისა თუ კულტურის თავისებურებებისა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ადამიანებით ვაჭრობას ერთნაირი მიზეზები გააჩნია, კერძოდ:

- სიღარიბე - სიღარიბე ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ერთ-ერთი უდიდესი მიზეზია, რამაც შეიძლება ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლად აქციოს. მას შეუძლია მშობლებს შვილების ან ოჯახის სხვა წევრების მონობაში მოქცევა უბიძგოს. სიღარიბეში მყოფი ადამიანები ადამიანით მოვაჭრეების სამიზნეები ხდებიან, რომლებიც მათ ფულის შოვნის გზას სთავაზობენ. თუმცა, ისინი მონები ხდებიან. სიღარიბე, აგრეთვე, მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრეფიკინგის სხვა შემთხვევების დროს - კერძოდ, ხალხის მიგრაციით გადაყვანის, განათლებისა და ლეგიტიმური სამუშაოს მიღების დაპირების, ომისა და სხვა მძიმე პერიოდში ადამიანით ვაჭრობის ჩადენილი დანაშაულისას;
- განათლების ნაკლებობა - განათლების ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს ხელფასით მუშაობის შესაძლებლობების შემცირება. აგრეთვე, ზოგადი განათლების დაბალი დონე ნიშნავს საკუთარი უფლებების არცოდნას. ორივე ხელს უწყობს ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომას. ტრეფიკინგის პრევენციის

დროს, განათლება ახალ თაობას შესაძლებლობას აძლევს, შეცვალოს საზოგადოებაში დამოკიდებულება, რაც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების შემცირებას;

- მოთხოვნა იაფ სამუშაოზე/სექსუალურ მომსახურებაზე - ეკონომიკის საფუძვლების მიხედვით, ბაზრის ფორმირებისთვის საჭიროა მიწოდება და მოთხოვნა. იაფ შრომასა და კომერციულ სექსუალურ მომსახურებაზე მოთხოვნები ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექსპლუატაციის შესაძლებლობას ქმნის. ადამიანით მოვაჭრეებს შეუძლიათ დიდი მოგება მიიღონ საქონლისა და მომსახურების წარმოებით, იაფი ან უფასო შრომის საშუალებითა და პროდუქციის ან მომსახურების უფრო მაღალ ფასად გაყიდვით;
- ადამიანის უფლებების ნაკლებობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის - ბევრ ქვეყანაში, საზოგადოებაში მარგინალიზებულ ჯგუფებს არ აქვთ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, რამაც შეიძლება ისინი ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლად აქციოს. მოწყვლად ჯგუფებს არ გააჩნიათ სამართალდამცავი ორგანოების, ოჯახებისა და საზოგადოების მხრიდან დაცვა. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანას არ აქვს ადამიანის უფლებების შესახებ აუცილებელი კანონები, რასაც ადამიანით მოვაჭრეები თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ. ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ კანონების არარსებობამ, შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლთა დასჯა, თუკი კანონები და მთავრობა არ აღიარებს, რომ ტრეფიკინგი არის სხვა ადამიანების ექსპლუატაცია;
- ლეგიტიმური ეკონომიკური შესაძლებლობების არარსებობა - იმ ქვეყნებში, სადაც ხალხს არ გააჩნია შესაბამისი კანონიერი შესაძლებლობები ეკონომიკური საქმიანობისათვის, შესამჩნევად მზარდია ტრეფიკინგის შემთხვევები. ჯგუფები, რომლებიც

განსაკუთრებით დაუცველნი არიან, ხდებიან მიგრანტები სამუშაო ნებართვის გარეშე. ისინი, ვისაც არ გააჩნიათ განათლება, ცხოვრობენ სოფლად, სადაც ნაკლები სამუშაოა, მათ შორისაა ქალები და გარკვეული ეთნიკური ჯგუფები, რომლებსაც არ შეუძლიათ სამსახურის შოვნა, ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი დისკრიმინაციული ხაზით;

- სოციალური ფაქტორები და კულტურული პრაქტიკა - ბევრ ქვეყანაში კულტურული პრაქტიკა და სოციალური ფაქტორები ადამიანებით ვაჭრობის ძირითადი მიზეზია. ზოგ ადგილას, ობლიგაციური შრომა განიხილება, როგორც ვალის დაფარვის მისაღები გზა. ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვების გაყიდვა ნორმაა, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ღარიბი ოჯახებისთვის. კულტურულმა და სოციალურმა ფაქტორებმა შეიძლება განაპირობოს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლმა ვერ გაბედოს სიმართლის შესახებ ისაუბროს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც უფლებების დაცვა შედარებით ნაკლებად ხდება;
- კონფლიქტი და სტიქიური უბედურება - კონფლიქტმა და სტიქიურმა უბედურებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური არასტაბილურობა და ადამიანის უფლებების დაცვის ნაკლებობა. მოწყვლადი ჯგუფები უფრო მეტად დაუცველნი ხდებიან კონფლიქტის ზონებსა და ომის დროს, ზოგიერთი მეამბოხე ან სამხედრო ჯგუფები ბავშვებს იყენებენ და ამუშავებენ ჯარისკაცებად;
- ტრეფიკინგით დიდი მოგების მიღება - ადამიანით ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის დიდი ფულადი შემოსავალი, რომელსაც ადამიანით მოვაჭრეები იღებენ. ეს მათთვის სტიმულია, გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა;

- უსაფრთხო მიგრაციის ნაკლებობა - უსაფრთხოების პრობლემების ან ეკონომიკური შესაძლებლობების გამო მშობლიურ ქვეყნებში მიგრაციით გადაადგილებული პირები განსაკუთრებით დაუცველები არიან. ადამიანით მოვაჭრეებს შეუძლიათ გამოიყენონ ადამიანი იძულებითი შრომის ან სექსუალური ტრეფიკინგის მიზნით. მათ, ვინც ეძებს სამუშაოს სხვა ქვეყნებში, სთავაზობენ სამუშაო ადგილებს, რომლებიც ლეგიტიმურად გამოიყურება, თუმცა, ანაზღაურება ძალიან დაბალი ან საერთოდ არაა;
- ადამიანით მოვაჭრეები - ზემოთ მოყვანილი ყველა მიზეზის გათვალისწინებით, ადამიანით მოვაჭრეები მაინც მიმართავენ ტრეფიკინგს მატერიალური მოგებისა და საკუთარი მიზნების მისაღწევად.[19]

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ხშირად ენობრივი ბარიერი და ენის არცოდნა ხელს უწყობს ტრეფიკინგის შემთხვევების ზრდას. ენის არცოდნის გამო, ხშირად, მსხვერპლს არ შეუძლია გაამჟღავნოს ტრეფიკინგის შემთხვევა, შესაბამისად, ადამიანით ვაჭრობა რჩება ლატენტურ დანაშაულად.

თანამედროვე სამყაროში, ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, გამარტივდა ადამიანით ვაჭრობა. მაგალითად, შეიქმნა ბევრი პორნო ვებ-საიტი, რაც ხელს უწყობს ვირტუალურ სექსუალურ მომსახურებას. ტექნოლოგიების მიღწევების ზრდა საზოგადოებას ეხმარება ინფორმაცია გაავრცელონ სწრაფად, რაც აიოლებს ტრეფიკინგის საქმიანობას. აღნიშნული ტექნოლოგიური შესაძლებლობები განსხვავდება ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, თუმცა ფაქტია, რომ იგი ყველა ქვეყანაში

[19] Human Rights Careers, *Causes of Human Trafficking*, 2020

ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების ზრდას უწყობს ხელს, რომელიც ტრანსნაციონალური დანაშაულის ერთ-ერთი სახეა.[20]

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ძირითადი მიზეზების გააზრებით, უფლებადამცველებს შეუძლიათ დაიწყონ საბაზისო მიზეზების გადაწყვეტა. ადამიანის უფლებების დაცვა, ხალხის დახმარება განათლებისადმი ხელმისაწდვომობისა და ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის მიზნით, ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის კლებას. ადამიანით ვაჭრობის მიზეზების შესწავლა და განსაზღვრა ტრეფიკინგის პრევენციის ერთ-ერთი წინაპირობაა.

1.4. ადამიანით ვაჭრობა და ქალები

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) 2020 წლის ტრეფიკინგის შესახებ გლობალური ანგარიში გვიჩვენებს, რომ 2018 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრალდებით მსჯავრდებულთა თითქმის ორი მესამედი მამაკაცი იყო.[21] თუმცა, მხვერპლთა უმეტესი ნაწილი ქალები არიან. გაეროს კონვენცია აღიარებს მიგრაციის პროცესში ქალთა დაცვის საჭიროებას, აგრეთვე, ტრეფიკინგის შესახებ ქალებისა და ბავშვების ინფორმირების აუცილებლობას. ჯერ კიდევ 1950-იან წლებში, გაერო მასში შემავალ ქვეყნებს მოუწოდებდა განეთავსებინათ „შეტყობინებები რკინიგზის სადგურებსა და ნავსადგურებში, ქალთა და ბავშვთა ინფორმირების მიზნით, რომლებიც აფრთხილებენ მათ ტრეფიკინგის შესახებ“.[22]

---

[20] Castles S., Miller M.J., *The Age of Migration: International Population Movements in the Modern World*, Guilford Press, 1998, გვ. 6-7

[21] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), *Global Report on Trafficking in Persons*, Vienna, 2020, გვ. 37

[22] United Nations, *Convention for the Suppression of the Traffic in Women and Children*, 1950

1923 წელს, ერთა ლიგამ ინიცირება გააკეთა ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის შესახებ კვლევის წამოწყებას და შეთავაზებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის დანიშვნა, რათა შეესწავლათ ვითარება მასში შემავალი ქვეყნების მთავრობებთან თანამშრომლობით (ერთა ლიგა 1927). ჩატარდა ორი ძირითადი გამოკვლევა, რომელთაგან ერთმა 1927 წელს გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც, ძირითადად, ეხებოდა დასავლეთში არსებულ ვითარებას; მეორე კვლევის შედეგები გამოქვეყნდა 1932 წელს, რომელიც აღწერდა აღმოსავლეთში არსებულ ვითარებას. ორივე მოხსენების თემატიკა პასუხს სცემდა 5 მთავარ კითხვას:

1) იყვნენ თუ არა მნიშვნელოვანნი უცხოელი ქალები, რომლებიც პროსტიტუციით იყვნენ დაკავებულნი კვლევის ობიექტ ქვეყნებში;
2) იყო თუ არა მოთხოვნა უცხოელ ქალებზე ამ ქვეყნებში და რამ შექმნა ეს მოთხოვნა;
3) სად მოიძიეს ქალები და როგორ დატოვეს მათ თავიანთი ქვეყნები, თავად თუ სხვა პირების დახმარებით ან გავლენით;
4) ვინ არიან ტრეფიკინგის ორგანიზატორები;
5) რომელი ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ ქალები, რომელი სატრანსპორტო საშუალებით და რა მარშრუტები გაიარეს.[23]

მაშინ, როგორც ახლა, ტრეფიკინგის აღსაკვეთ საშუალებებად მიჩნეულ იქნა ცოდნის გავრცელება, საერთაშორისო თანამშრომლობა, ტრეფიკინგის კრიმინალიზება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. გარდა ამისა, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება განიხილებოდა, როგორც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მთავარი ფაქტორი.[24]

[23] UNICRI, *A Short History of Trafficking in Persons*, Turin, 2020
[24] იქვე;

გენდერული უთანასწორობა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობების განსხვავებულობაზე აპელირებას სქესის მიხედვით. მრავალ კულტურაში ქალი ნაკლები უფლებების მქონედ ითვლება, ვიდრე მამაკაცი; ანაზღაურება ნაკლებია თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის; შედარებით დაბალია წვდომა ჯანმრთელობაზე, განათლებასა და საკუთრებაზე; მათ უწევთ დაემორჩილონ მამაკაცებს; შესაბამისად, ქალები დღემდე მიჩნეულნი არიან მოწყვლად ჯგუფად.

ბევრი კონვენციისა და მანიფესტის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრეფიკინგი ადამიანის უფლებათა კომპლექსური დარღვევაა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სქესისა და გენდერის ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი, ქალები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან. კერძოდ, საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მიხედვით, „იძულებითი სექსუალური ექსპლუატაციისა და საოჯახო ძალადობის მსხვერპლთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალი და გოგოა“.[25]

სექსუალურ ტრეფიკინგს თავისი ნიშან-თვისებები გააჩნია. ტრეფიკინგის მსხვერპლ ქალებსა და გოგონებს ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მაღალი მაჩვენებლები აქვთ, მათ შორისაა მკვლელობა და წამება, ფსიქოლოგიური ძალადობა, ცუდი სამუშაო და საცხოვრებელი პირობები და უკიდურესი სიღარიბე.[26] ზოგიერთ შემთხვევაში, ქალები ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი, მას შემდეგ, რაც იძულებით ქორწინდებიან მათი ნების საწინააღმდეგოდ. იძულებითი ქორწინებისას ქალზე ქმარსა და მის ოჯახს აქვთ მისი კონტროლის საშუალება. ტრეფიკინგი არ ნიშნავს მხოლოდ

[25] International Labour Organization (ILO), *Profits and Poverty: The Economics of Forced Labor*, Geneva, 2014, გვ. 3-5

[26] American Psychological Association, *Facts About Trafficking of Women and Girls*, Washington DC, 2017

უცხო ადამიანების ჩართულობას, შესაძლებელია, ქალი ტრეფიკინგის მსხვერპლი ოჯახის წევრების ზეწოლის ქვეშაც გახდეს.[27]

მიუხედავად ბევრი მცდელობისა, პროგრესი ქალთა ტრეფიკინგის აღმოფხვრის მიმართულებით ძალზე ნელია. მთლიანი ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაახლოებით 70% ქალები არიან, რომელთა ძირითად ნაწილს ზრდასრული ქალები შეადგენენ, თუმცა გოგონათა რიცხვიც მზრდადია. აღნიშნული ქალების დაახლოებით 77% სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლია.[28] აგრეთვე, მათ აიძულებენ თაღლითურ, იძულებით და მონურ ქორწინებას, ბავშვთა ქორწინებას, ოჯახურ მონობასა და იძულებით ორსულობას. საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის შეფასებით, 28.7 მილიონი ქალი და გოგონა მთელ მსოფლიოში ჩართულნი არიან იძულებით შრომაში, იძულებით ქორწინებაში, მონობასა და მონობის მსგავსს საქმიანობაში.[29]

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა უთანასწორობა გენდერული კუთხით განპირობებულია არათანაბარი შემოსავლებითა და ეკონომიკური მდგომარეობით. ქალებსა და გოგონებში ტრეფიკინგის ხელშემწყობი ფაქტორია ღარიბი ქვეყნები და მათი ეკონომიკური მდგომარეობა, რადგანაც ისინი ეძებენ სარისკო შესაძლებლობებს, მიგრაცია მოახდინონ შედარებით მდიდარ ქვეყნებში. მსხვერპლი ქალები ზოგჯერ იძულებულნი არიან დაკავდნენ უკანონო საქმიანობით და ხვდებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდებულია, აღნიშნულ შემთხვევაში ამოქმედდეს დაუსჯელობის პრინციპი, მისი აღსრულება ძალზე

[27] The Office on Women's Health, *Human trafficking*, Washington DC, 2018
[28] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), *Global Report on Trafficking in Persons*, Vienna, 2020, გვ. 12-13
[29] იქვე

სუსტია, რაც უარყოფითად მოქმედებს ტრეფიკინგის მსხვერპლ ქალებზე და ილახება მათი უფლებები.[30]

1.5. ადამიანით ვაჭრობა და უმცირესობები

მსოფლიო სახელმწიფოთა დიდი ნაწილი არ არის მიმღებლური უმცირესობების მიმართ, მათ შორისაა ლგბტქი+ ადამიანები, სადაც იგულისხმება ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსი. სწორედ ამიტომაც, აღნიშნულნი წარმოადგენენ განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს. ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს, რომ ლგბტქი+ ადამიანები ტრეფიკინგის კუთხით მაღალი რისკის ქვეშ არიან, რადგანაც მსხვერპლთა რაოდენობა წარმოდგენილი ჯგუფიდან დღითიდღე იზრდება.[31]

ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, ლგბტქი+ ბავშვები და მოზარდები განსაკუთრებით დაუცველნი არიან, შესაბამისად, დიდია რისკი, ისინი გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი იძულებითი შრომისა და სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. პირველ რიგში, მათი განსაკუთრებული დაუცველობა განპირობებულია ასაკით; ისინი ადვილად სამართავნი არიან, აგრეთვე, ახალგაზრდებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ საკუთარი თავი დაიცვან. მეორე, მათი ლგბტქი+ იდენტობა ზრდის მათ მოწყვლადობას, რადგან ისინი ხშირად არიან მარგინალიზებულნი საზოგადოებაში და განდევნილნი მეგობრებისა და ნათესავების მიერ, რომლებიც ხშირად მათ აიძულებენ დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი, რის შედეგადაც უმეტესწილად საცხოვრებლის გარეშე რჩებიან. აღნიშნული

[30] United Nations General Assembly, *Trafficking in Women and Girls*, 2020, გვ. 3

[31] Martinez O., Kelle G., *Sex Trafficking of LGBT Individuals: A Call for Service Provision, Research and Action*, The International Law News, 2013, გვ.3-4

კომბინაცია განსაკუთრებით ხელსაყრელია ადამიანებით მოვაჭრეებისთვის. რადგანაც ისინი ეძებენ პირებს, ვინც საზოგადოების მხრიდან განდევნილია და ნაკლებადაა დაცული.[32]

ოჯახებსა და საზოგადოებაში არსებული სტიგმის გამო, ლგბტქი+ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს შორის; ხშირად ისინი დისკრიმინაციას განიცდიან და სამართალდამცავი ორგანოების, სოციალური მომსახურების სააგენტოების, საგანგებო სიტუაციებისა და საცხოვრებელი თავშესაფრის ობიექტები ხდებიან. ლგბტქი+ ახალგაზრდობა დაუცველია ტრეფიკინგის თვალსაზრისითაც, ისინი მარტივად ჩნდებიან იძულებითი შრომისა და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთა შორის.[33]

ლგბტქი+ პირები საზოგადოების მხრიდან უფრო მკაცრ სტიგმას აწყდებიან. მამაკაცისა და ბიჭების მიმართ სექსუალური ექსპლუატაცია ხშირად ტაბუირებულ თემად არის მიჩნეული, რაც მათ ზღუდავს, განაცხადონ დანაშაულის შესახებ. აგრეთვე, ლგბტქი+ პირების ხელმისაწვდომობა ტრეფიკინგისა და მსხვერპლთა უფლებებსა და მომსახურებებაზე საკმაოდ დაბალია.

1.6. ადამიანით ვაჭრობა და ბავშვები

მსოფლიოში გამოვლენილი ყოველი სამი მსხვერპლიდან ერთი არის ბავშვი. მსხვერპლთა ასაკი სხვადასხვა რეგიონში მკვეთრად იცვლება. დასავლეთ აფრიკაში, სამხრეთ აზიასა და ცენტრალურ ამერიკაში, როგორც

[32] U.S. Department of State, *Trafficking in Persons Report 2016*, 2016, გვ. 13

[33] Xian K., Chock S., Dwiggins D., *LGBTQ Youth and Vulnerability to Sex Trafficking, in Human Trafficking*, Springer, 2017

წესი, ბევრად უფრო მაღალია ტრეფიკინგის გამოვლენილ მსხვერპლთა მაჩვენებელი.

გამოვლენილი მსხვერპლის ასაკობრივი შემადგენლობის განსხვავებები, ძირითადად, უკავშირდება ქვეყნის შემოსავლის დონეს. ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების რიცხვი მნიშვნელოვნად მაღალია დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, ვიდრე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში (იხილეთ სურათი 2).[34]



სურათი 2. ტრეფიკინგის მსხვერპლი ასაკისა და ქვეყნის შემოსავლის მიხედვით

ტრეფიკინგისა და მისი გამომწვევი მიზეზების მახასიათებლები განსხვავდება გეოგრაფიული და სოციალური მდგომარეობის მიხედვით. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვები,

[34] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), *Global Report on Trafficking in Persons*, Vienna, 2020, გვ. 10

უმეტესწილად, ჩართულნი არიან იძულებით შრომაში; მაშინ, როცა მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვები, უფრო მეტად, სექსუალურ ექსპლუატაციაში არიან ჩართულნი (იხილეთ სურათი 3).[35]



სურათი 3. ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვები ექსპლუატაციის ფორმისა და ქვეყნის შემოსავლის მიხედვით

აღნიშნული რიცხვებისა და ფაქტორების ცოდნა მნიშვნელოვანია ტრეფიკინგის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ადამიანით ვაჭრობის ფაქტების გამომწვევი მიზეზების ანალიზის შედეგად, შესაძლებელია, დაისახოს სამოქმედო გეგმა, რომელიც აღნიშნული შემთხვევების შემცირებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, უნდა მოხდეს:

[35] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), *Global Report on Trafficking in Persons*, Vienna, 2020, გვ. 82

- ტრეფიკინგის დანაშაულის წინააღმდეგ კანონების მიღება, განხორციელება და აღსრულება;
- ტრეფიკინგის შემთხვევებიდან გადარჩენილი ბავშვებისთვის მაღალი ხარისხის ჯანმრთელობის, სოციალური კეთილდღეობისა და სისხლის სამართლის დამხმარე სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- სხვა მთავრობებთან და ბიზნეს ჯგუფებთან თანამშრომლობა ტრეფიკინგის პრევენციის, აღკვეთისა და პრობლემების გადაჭრისა და სისხლის სამართლის ქსელის სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, რომლებიც სცილდება ეროვნულ საზღვრებს.

2. ადამიანით ვაჭრობის არსებული სტატისტიკური მაჩვენებლები

2.1. ადამიანით ვაჭრობის სტატისტიკური მაჩვენებლები მსოფლიოში

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული რთული და დინამიურია, იგი მრავალფეროვან კონტექსტში მიმდინარეობს და ძნელად შესამჩნევია. ტრეფიკინგის გავლენის გაზომვის ერთ–ერთი უდიდესი გამოწვევაა ადამიანთა ტრეფიკინგის მასშტაბებსა და მსხვერპლთა პროფილთან დაკავშირებული საიმედო მონაცემების ნაკლებობა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში. თუმცა, არსებობს სტატისტიკური მონაცემები და ადამიანით ვაჭრობის შემთხვევების დინამიკა წლების მიხედვით. ადამიანით ვაჭრობის სამი ძირითადი საქმიანობიდან ყველაზე დიდი რაოდენობის შემთხვევები იძულებით მუშაობაზე მოდის, ხოლო მეორე ადგილზეა სექსუალური ექსპლუატაცია. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი ზრდა შეინიშნება სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევებში.[36]

ტრეფიკინგის დამალული ხასიათი ართულებს მის ზუსტ, გლობალური მასშტაბით გაზომვას მოცულობისა და ღირებულების თვალსაზრისით. ადამიანით ვაჭრობის რაოდენობის დადგენის სხვადასხვა მეთოდოლოგია არსებობს, თუმცა ყველაზე ფართოდ მიღებული და სანდო მეთოდოლოგია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შემოგვთავაზა.

ტრეფიკინგი ხდება მსოფლიოს ყველა რეგიონში. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ 2020 წლის გლობალური ანგარიშისთვის შეგროვებული მონაცემები აჩვენებს, ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი ამერიკა, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის ზოგიერთი

[36] International Organization for Migration, *Counter-trafficking Data Collaborative*, 2017

ქვეყანა წარმოადგენს მსხვერპლთა ტრეფიკინგის ლოკაციათა ფართო სპექტრს.[37]

2018 წლის მონაცემებით, ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის გამოძიებულ საქმეთა 50% სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევაა, 38% - იძულებითი მუშაობა, 6% - კრიმინალური საქმიანობა, 1,5% - მათხოვრობა, 1% - იძულებითი ქორწინება, 1% - შერეული ფორმები, აგრეთვე შედარებით მცირე პროცენტული გადანაწილებით - ბავშვთა გაყიდვა, ორგანოებით ვაჭრობა და სხვა.[38]



სურათი 4. მსოფლიოში ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის გამოძიებულ საქმეთა პროცენტული გადანაწილება

[37] Human Rights First, *Human Trafficking by the Numbers*, New York, 2017

[38] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), *Global Report on Trafficking in Persons*, Vienna, 2020, გვ. 16

იძულებითი შრომის მსხვერპლთა 47% მუშაობს მშენებლობაში, წარმოებასა და მაღაროში, ხოლო 24% იძულებითი საშინაო შრომის მსხვერპლია. იძულებითი შრომის მსხვერპლთა 11% სოფლის მეურნეობაში მუშაობს. ტრეფიკინგის მსხვერპლთა 71% მთელ მსოფლიოში ქალი და გოგოა, 29% მამაკაცი და ბიჭი. დაზარალებულთა 75% არის 18 წლის ან უფროსი ასაკის, ხოლო 18 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა 25%-ს შეადგენს.[39]

აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში იძულებით მშრომელთა უდიდესი რაოდენობაა - 15,4 მილიონი (გლობალური მთლიანი რაოდენობის 62%). აფრიკას ჰყავს 5,7 მილიონი (23%) ტრეფიკინგის მსხვერპლი, შემდეგ მოდის ევროპა და შუა აზია 2,2 მილიონით (9%). ამერიკაში 1,2 მილიონი (5%) მსხვერპლია, ხოლო არაბული ქვეყნები მთლიანი მსხვერპლთა 1%-ს შეადგენს.[40]

ადამიანით ვაჭრობის მასშტაბები და ლოკაცია საკმაოდ ფართოა. 2.2 მილიონი (14%) იძულებითი შრომის მსხვერპლთა გადაადგილება მოხდა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, ხოლო 3.5 მილიონი (74%) სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ცხოვრობდა მათი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაზარალებულები საშუალოდ 20 თვეს ატარებენ იძულებით შრომაში, თუმცა, ზუსტი პერიოდი განსხვავდება იძულებითი შრომის სხვადასხვა ფორმების მიხედვით; მათი ტრეფიკინგის მსხვერპლობის პერიოდი განსხვავებულია.[41]

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, განვსაზღვროთ ადამიანით მოვაჭრეების ორგანიზატორთა, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულის მონაწილეების, ტიპები. კერძოდ, სასამართლოს მიერ გამოძიებული ტრეფიკინგის

[39] Human Rights First, *Human Trafficking by the Numbers*, New York, 2017;
[40] იქვე;
[41] იქვე;

შემთხვევების კრიმინალური მონაწილეების ტიპების გადანაწილება შემდეგნაირია:



სურათი 5. სასამართლოს მიერ გამოძიებული ტრეფიკინგის შემთხვევების კრიმინალური მონაწილეების ტიპები

ტრეფიკინგს გააჩნია სხვადასხვა მიზეზები, როგორიცაა ეკონომიკური საჭიროება (51%), ბავშვი დისფუნქციური ოჯახით (20%), მოძალადე პარტნიორი (13%), გონებრივი და ქცევითი აშლილობა (10%), იმიგრანტის სტატუსი (10%), მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი (9%), უცხო ენის არცოდნა (6%), ფიზიკური შეზღუდულობა (3%).[42]

[42] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), *Global Report on Trafficking in Persons*, Vienna, 2020, გვ.13.

2.2. ადამიანით ვაჭრობის სტატისტიკური მაჩვენებლები საქართველოში

ადამიანით ვაჭრობის სფეროში, 2005-2010 წლებში, საქართველო იყო მესამე კატეგორიის ქვეყანებს შორის. მესამე კატეგორიაში იგულისხმება ტრეფიკინგის მხრივ მაღალი სტატისტიკური მაჩვენებლების ქონა. საქართველოში, გასულ პერიოდში (დაახლოებით 10-15 წლის წინ), ტრეფიკინგი ყვაოდა, რამაც გამოიწვია ის, რომ უამრავი ადამიანი გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი. აღნიშნული განპირობებული იყო მთავრობის უმოქმედობით, სახელმწიფო ძალიან ცოტას ან საერთოდ არაფერს აკეთებდა მის აღსაკვეთად.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელიც მოწოდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, „2011 წელს რეგისტრირებულ იქნა ტრეფიკინგის 10 შემთხვევა, საიდანაც 4 გაიხსნა. პასუხისგებაში მიეცა 5 ადამიანი, რომლებსაც სასჯელად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა ექვსიდან ცხრამეტ წლამდე. ამასთან, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, 2011 წელს იდენტიფიცირებული იქნა ტრეფიკინგის 18 მსხვერპლი, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 2010 წელს 19, ხოლო 2009 წელს 48 იყო“.

იქედან გამომდინარე, რომ ტრეფიკინგის ზუსტი აღრიცხვა და ყველა შემთხვევის გამოძიება არ ხდებოდა, რთულია ამავე პერიოდის სანდო სტატისტიკური მონაცემების მოპოვება. როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის ხელმძღვანელმა აღნიშნა, „დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტატისტიკა, როგორც წესი, სრულად ვერ ასახავს რეალობას.[43]

[43] რეხვიაშვილი ჯ., ტრეფიკინგი საქართველოში, თბილისი, 2012.

ძირითადად, ადამიანით მოვაჭრეები მიჰყვებიან საბაზრო მოთხოვნილებებს, მაგალითად, თურქეთსა და დასავლეთ ევროპაში მოთხოვნაა მეძავებსა და იაფფასიან მუშა ხელზე, შესაბამისად, ადამიანით მოვაჭრეები ცდილობენ დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნა და მსხვერპლს აღნიშნული კრიტერიუმით ეძებენ. საქართველოშიც, როგორც სხვა ქვეყნებში, 10-15 წლის წინანდელი მონაცემებით, ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენდნენ, რომლებიც ხშირად იძულებით იყვნენ ჩართულნი პროსტიტუციურ საქმიანობაში. გარდა აღნიშნულისა, ტენდეცია იყო, საქართველოდან რუსეთში გადაეყვანათ ტრეფიკინგის მსხვერპლი ადამიანები, რომელთა უმეტესობა მამაკაცები იყვნენ. გარდა რუსეთისა, თურქეთი და საბერძნეთიც ხშირად ხდებოდა ქართველი მამაკაცების ტრეფიკინგის ადგილი. ქართველი ქალები ძირითადად ჩართულნი არიან სექსუალურ ექსპლოატაციაში, ხოლო მამაკაცებს იყენებენ, როგორც იაფ მუშახელს.[44]

გარდა იმისა, რომ საქართველო ერთ-ერთი მომმარაგებელი ქვეყანაა ადამიანით მოვაჭრეებისთვის, იგი პოპულარული სატრანზიტო დერეფანიცაა, რომლის გავლითაც გადაჰყავთ ახალგაზრდა რუსი და უკრაინელი ქალები თურქეთში. გარდა ამისა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამოყენება ხდება ადამიანით მოვაჭრეების მიერ. რუსეთისა და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის საზღვარი, ხშირ შემთხვევაში, არის ის ადგილი, სადაც ხდება ადამიანით მოვაჭრეთა საქართველოში შემოსვლა და გასვლა.[45]

საერთშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველომ დაიწყო ტრეფიკინგის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა. ერთ-

[44] Human Rights in Georgia, *ტრეფიკინგი საქართველოში,* 2014;
[45] იქვე;

ერთი ყველაზე დიდი ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ მუშაობს, არის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

განსხვავებით 10-15 წლის წინანდელი ოფიციალური მონაცემებისა, 2020 წლის სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, საქართველომ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნებს შორის წინ წაიწია და ამჟამად შეფასების უმაღლეს საფეხურზეა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასებას ეხებოდა. აღნიშნულ ანგარიშში, საქართველო მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზე, რაც წინა წლებთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია.[46]

2.3. კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენა ადამიანით ვაჭრობის ტენდენციაზე

ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები და გოგონები ხშირად ხდებიან ადამიანის უფლებების დარღვევის ობიექტი. COVID 19-ის პერიოდში, საზღვრების დაკეტვასა და მრავალ ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნის პარალელურად, გაჩნდა რისკი ქალებისა და გოგონების ვაჭრობის გაზრდის მხრივ. ამავდროულად, კვლევის მონაცემების მიხედვით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციები ვარაუდობენ, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები და გოგონები უფრო მეტ ბარიერებს განიცდიან დამხმარე

[46] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, *საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზეა*, 2020.

სერვისების მიღებაში, და საზოგადოების ყურადღება უფრო ნაკლებადაა ორიენტირებული დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნასა და გადარჩენილთა დაცვაზე.[47]

ისტორიას თუ გავაანალიზებთ, ტრეფიკინგის განმაპირობებელი ფაქტორები - ეკონომიკური უთანასწორობა და დაუცველობა - განსაკუთრებით მწვავდება ჯანდაცვის კრიზისების ფონზე. კანონის უზენაესობის დარღვევა, კრიმინალური საქმიანობის ზრდა და რესურსების მხრივ კონკურენცია ხელს უწყობს ტრეფიკინგის საქმიანობას. მაგალითად, ებოლას პირველი დიაგნოზიდან 2,5 წლის განმავლობაში, 2014 წელს, 11000-ზე მეტი ვირუსით დაავადებული ადამიანი გარდაიცვალა გვინეაში, ლიბერიასა და სიერა ლეონესში, შედეგად კი 16000-ზე მეტმა ბავშვმა დაკარგა ერთი ან ორივე მშობელი. კვლევის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია გაიზარდა.[48] იგივე შეიძლება ვივარაუდოთ COVID 19-ის პერიოდშიც.

ჯანდაცვის სფეროში არსებულმა წინა კრიზისების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ქალები და გოგონები, მათ შორის მიგრანტი და ლტოლვილი ქალები და გოგონები, განიცდიდნენ სქესობრივი ნიშნით ძალადობას, ინტიმური პარტნიორის ძალადობასა და სექსუალურ ექსპლუატაციას. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა COVID 19-ის პერიოდში. წარსული გამოცდილება და გამოვლენილი მონაცემები აჩვენებს, რომ COVID 19-ის გლობალური რეცესია გამოიწვევს ქალთა შემოსავლებისა და სამუშაო ძალის ხანგრძლივ შემცირებას. ექსპერტთა აზრით, COVID 19-ის გავლენის ზემოქმედების შედეგად, გლობალური მასშტაბით, არაფორმალურად დასაქმებულ ქალთა

[47] UN-Women and Office for Democratic Institutions and Human Rights, *The impacts of COVID-19 on Trafficking in Persons*, 2020, გვ. 1-2;
[48] Save the Children and others, *Children's Ebola Recovery Assessment: Sierra Leone*, 2015, გვ. 1-3.

დიდი ნაწილი დაკარგავს სამსახურს, რაც გამოიწვევს ტრეფიკინგის მსხვერპლ ქალთა რაოდენობის ზრდას.[49]

COVID 19-ის შედეგად, მოძრაობისა და ფიზიკური დისტანცირების შეზღუდვებმა შეცვალა ტრეფიკინგთან დაკავშირებული ექსპლუატაციის ფორმები. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა სექსუალური ექსპლუატაციაზე ფიზიკურ რეჟიმში შემცირდა, გაჩნდა ონლაინ სივრცეში სექსუალური ექსპლუატაციისა და ბოროტად გამოყენების ახალი ფორმები.[50] ევროკავშირის სამართალდაცვითი თანამშრომლობის სააგენტომ დოკუმენტურად დაადასტურა, რომ გაიზარდა ონლაინ აქტივობა ბავშვზე ძალადობის გამოყენების კუთხით.[51] გარდა ამისა, უკვე არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლნი მეტ ძალადობას განიცდიან, მას მერე, რაც COVID 19-ის პანდემია დაიწყო.

[49] United Nations, Trafficking in Women and Girls, 2020, გვ. 3
[50] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), Global Report on Trafficking in Persons, Vienna, 2020, გვ. 69
[51] Verité, COVID-19 and Vulnerability to Human Trafficking for Forced Labor, 2020

3. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

3.1. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში

იქედან გამომდინარე, რომ ადამიანით ვაჭრობის პრობლემა საკმაოდ მწვავედ იდგა საქართველოში, ხელისუფლება იძულებული გახდა შეემუშავებინა სპეციალური კანონი. კერძოდ, ეს არის 28.04.2006 წლის საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინაღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველს. გარდა ამისა, საქართველომ მოახდინა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმისა“ და „ევროპის საბჭოს კონვენციის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ რატიფიცირება.

საქართველოს სახელმწიფოს ოც ქვეყანასთან გაფორმებული აქვს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიციის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საერთაშორისო შეთანხმებები, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის სფეროშიც. საქართველოს, აგრეთვე, გაფორმებული აქვს თურქეთის რესპუბლიკასთან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ოქმი.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია, თუ სახელმწიფო სტრუქტურებმა ვერ მოახერხეს კოორდინირებული თანამშრომლობა. აღნიშნული უწყებების კოორდინირებული საქმიანობის განხორციელების მიზნით, შექმნილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საკოორდინაციო საბჭო ორ წელიწადში ერთხელ

შეიმუშავებს ეროვნულ სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმის საქმიანობის ფარგლებში, ეროვნული რეფერალური მექანიზმის დახვეწის მიზნით, საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია“.

2006 წელს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა „ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“, რომელიც ემსახურება ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებასა და დაცვას. სახელმწიფო ფონდის მიზანია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება“.[52] ფონდის ფუნქციები, აგრეთვე, მოიცავს მსხვერპლთა თავშესაფრითა და შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამებით უზრუნველყოფას.

საქართველოს საკოორდინაციო საბჭომ მიიღო ეროვნული რეფერალური მექანიზმი (NRM) („სამოქმედო ინსტრუქცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დასაცავად - ეროვნული რეფერალური მექანიზმი და მსხვერპლის იდენტიფიცირების სტანდარტები“), რომელიც მთავრობის 2006 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით განხორციელდა. ამავე საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშავა ეროვნული რეფერალური მექანიზმის სამოქმედო ჩარჩო, რომელიც 2011 წელს „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიან სტანდარტებსა და წესში“ შევიდა. აღნიშნული ეროვნული რეფერალური მექანიზმი შედგება

[52] საქართველოს პროკურატურა, *ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა,* 2006

სამი ნაწილისაგან: „1) იდენტიფიცირება (პირველადი იდენტიფიცირება და სპეციალური მობილური ჯგუფი, იდენტიფიცირების კითხვარი და გადაწყვეტილება სტატუსის მინიჭების შესახებ); 2) მსხვერპლის დაცვა (იურიდიული დახმარება, სამედიცინო დახმარება, სოციალური დახმარება და დაცვითი ზომები); 3) რეაბილიტაცია (სოციალური პროგრამები, რეინტეგრაციის პროცესი). 2010 წელს ეროვნულ რეფერალურ მექანიზმს სავალდებულო რეფერალური მექანიზმი დაემატა. ეროვნულ რეფერალურ მექანიზმის მიზანია ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და გაცხადება. [53]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში, შექმნილია ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, რაც ტრეფიკინგის თემის სიმწვავიდან იყო განპირობებული. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ფარგლებში მოქმედებს ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებით მოვაჭრეთა იდენტიფიკაციის დადგენასა და მათ შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციას ერთიან ბაზაში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა დასახელებულია, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად. მასში ცალკე ნაწილი აქვს დათმობილი ადამიანით ვაჭრობის კუთხით არსებულ გამოწვევებს, რომელიც გაწერილია

[53] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, *საჭიროებათა შეფასება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში,* თბილისი, 2016, გვ. 12

მომავალში განსახორციელებელ ღონისძიებებთა ნუსხაში, ტრეფიკინგის შემთხვევების რაოდენობის შემცირების მიზნით.[54]

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც შეინიშნება გარკვეული შეცდომები ტრეფიკინგის გამოძიების პროცესში, რომელიც შემდგომში გამოსწორებულ უნდა იქნას სასამართლოს მიერ. ხშირად არასწორად ესმით ადამიანით ვაჭრობა ორი ან მეტი პირის მიმართ, მათ შორის, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანის შემთხვევები.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დიდი ნაწილი დახმარებისთვის მიმართავს უცხო ქვეყნის ხელისუფლებას, ძირითადად თურქეთის რესპუბლიკას, რათა ამხილოს დამნაშავეები (უმეტესწილად თუკი დანაშაული თურქეთის ტერიტორიაზე მოხდა). მსგავს შემთხვევაში, დაზარალებულს აბრუნებენ უკან საქართველოში, სადაც იწყება გამოძიება, მაგრამ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არასოდეს არაა მიცემული ის მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს თურქეთში, რადგანაც ვერ ხერხდება აღნიშნული პიროვნების ვინაობის დადგენა. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მხოლოდ ის თანამონაწილეა მიცემული, რომელიც საქართველოში ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრეფიკინგის ძირითადი წყარო დასჯის გარეშე რჩება. აღნიშნული კი, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას ახდენს ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგზე.[55]

ადამიანით ვაჭრობის ეტაპების დამტკიცების მიზნით, ნებისმიერი სახის მტკიცებულება შეიძლება იქნას გამოყენებული. დოკუმენტურ მტკიცებულებებად მიჩნეულია მსხვერპლის, ეჭვმიტანილის, მოწმის

[54] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, *საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზეა,* 2020.
[55] თოდუა ნ., *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი,* 2012, გვ. 357-358.

ჩვენებები, ფოტოსურათები თუ რაიმე სახის ჩანაწერები. ტრეფიკინგის გამოძიებისას ძალზედ მნიშვნელოვანია ადამიანით მოვაჭრის იდენტიფიცირება დანაშაულის მიზნის, ქმედებებისა და საშუალებების გათვალისწინებით.[56] ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა შედეგიანი რომ იყოს, სახელმწიფოებმა უფრო მეტად უნდა ისარგებლონ საერთაშორისო თანამშრომლობით. აგრეთვე, აუცილებელია მთავარი აქცენტი გადატანილ იყოს, ეგრედ წოდებულ, დანიშნულების ქვეყანაში მოქმედ პირთა მხილებაზე.

მიუხედავად საერთაშორისო და ადგილობრივი აქტების მიღებისა, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით ვერ შეფასდება, რადგანაც ყოველდღიურად შეიძლება გამოვლინდეს ტრეფიკინგის ახალი, აქამდე უცნობი, შემთხვევები, რომელსაც სხვადასხვა ფორმა და ხასიათი გააჩნია, რაც ახლებურ ბრძოლას საჭიროებს. ადამიანის უფლებები დღითიდღე ვითარდება და ფართოვდება, შესაბამისად, იზრდება ადამიანით ვაჭრობისა და ტრეფიკინგის დანაშაულის არეალი, რაც მასთან ბრძოლის პროცესში, წარმოშობს ახლებური ხედვებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას.

3.2. ადამიანით ვაჭრობის წინაარმდეგ ბრძოლის უცხოური პრაქტიკა

1900-იანი წლებიდან მოყოლებული, საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს შეებრძოლოს ადამიანით ვაჭრობის შემთხვევებს, რადგანაც იგი მიჩნეულია, როგორც ტრანსნაციონალური დაშაულის ერთ-ერთი სახე. მსოფლიო ქვეყნები ცდილობენ მოახდინონ სხვადასხვა ქვეყანაში ჩადენილი

[56] მესხი მ., *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა,* თბილისი, 2014, გვ. 5-7.

დანაშაულის ანალიზი, ცოდნის შეჯერება, ადამიანთა ტრეფიკინგის გამოცანის ამოხსნას და საქმის გამოძიება.

თავდაპირველად, ტრეფიკინგის შემთხვევები განხილვის საწყისები მომდინარეობდა ადამიანის ფერთა სხვაობების საფუძველზე, შესაბამისად, მიღებული აქტებიც კანის ფერთა განსხვავებულბებს მოიცავდა. კერძოდ, 1904 წელს მიღებულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულება „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების მიერ მიღებულ კონსოლიდირებულ ხელშეკრულებას წარმოადგენს. მოგვიანებით ყურადღება გამახვილდა ზოგადად ადამიანის იძულებით სამუშაოს შესრულებასა და აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე. 1930 წელს გამოქვეყნდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია „იძულებითი შრომის შესახებ“. მალევე მოჰყვა ქალების შესახებ კონვენცია, რომელიც მიზნად ისახავდა ქალების ვაჭრობის შემცირებას - 1933 წელს მიიღეს საერთაშორისო კონვენცია „სრულწლოვანი ქალების ვაჭრობის წინააღმდეგ“.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გაეროს საერთაშორისო ხელშეკრულება „ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია“, რომელიც 1948 წლის 10 დეკემბრს იქნა მიღებული. ხელშეკრულებას მალევე მოჰყვა ადამიანით ვაჭრობისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. 1949 წელს, ჟენევაში მიიღეს კონვენცია, ეგრედ წოდებული, ჟენევის კონვენცია „ადამიანებით ვაჭრობისა და მესამე პირის მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ“. 2000 წელს გაერომ აღიარა, რომ ტრეფიკინგი საჭიროებს მიზანმიმართულ ბრძოლას, როგორც ზოგად, ასევე ქალებისა და ბავშვების დაცვის ჭრილში, და შეიმუშავა კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“; 1 თვეში კი წარმოადგინდა ამავე კონვენციის დამატებითი ოქმი

„ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“.[57]

მაშინ, როდესაც გაეროსა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საშუალებებით, 1990-იანი წლებში უმეტესწილად აღმოიფხვრა მონობის ჩვეულებრივი ფორმები, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა პირველად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო. პირველად აშშ-მა მოახდინა ტრეფიკინგის წინააღმდეგ კანონმდებლობის მიღება, კერძოდ, 2000 წელს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტის (TVPA), რომელიც ეხებოდა ქალთა და ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასა და ტრეფიკინგს. აშშ-ს სურდა ქვეყანა წარმატებით ჩართულიყო გლობალური ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.[58] აღნიშნული აქტის მიზანს წარმაოდგენს: 1) ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების გაწევა, რომელთა უმეტესობასაც ადრე არ შეეძლო მთავრობისგან დახმარების მიღება; 2) ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არაიმიგრანტის სტატუსის მინიჭება, თუ ისინი ითანამშრომლობენ ადამიანით ვაჭრობის საქმის გამოძიებასა და ადამიანით მოვაჭრეების სასამართლო დევნის პროცესში. მომდევნო წლებში ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტის რეავტორიზაცია და განახლება რამდენიმეჯერ განხორციელდა.

2005 წელს, ევროსაბჭოს კონვენციამ მიიღო „ევროპული კონვენცია ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელიც აგრეთვე მომდევნო წლებში განახლდა. აღნიშნულ კონვენციაში განსაზღვრულია ადამიანით ვაჭრობის სპეციფიკა და განსაზღვრულია, რომ ადამიანებით ვაჭრობა მძიმე დანაშაულია, რომელიც ხშირად ხორციელდება ორგანიზებული დანაშაულის ფორმით. ტრეფიკინგი წარმოადგენს

[57] ბაძაღუა მ., *ადამიანთა ვაჭრობა - ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე),* თბილისი, 2011, გვ. 28-29

[58] Pugliese E., *Organ Trafficking and the TVPA: Why One Word Makes a Difference in International Enforcement Efforts*, 2007

ფუნდამენტურ უფლებათა უხეშ დარღვევას, რადგანაც იგი არღვევს ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიას.[59]

ევროპულ საბჭოში შემავალი სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ „ადამიანებით ვაჭრობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას და ადამიანის ღირსებისა და პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს; ადამიანებით უკანონო ვაჭრობას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ამ ვაჭრობის მსხვერპლთა მონურ მდგომარეობამდე მიყვანა“.... აგრეთვე, „ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ყველა ღონისძიება ან ინიციატივა უნდა ემყარებოდეს არადისკრიმინაციულობისა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს და ასევე ითვალისწინებდეს ბავშვთა უფლებებს“.[60]

ევროპის საბჭოს კონვენციის მიერ მიღებული. ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ პრეამბულას მიზნებია:

„ა) ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გენდერული თანასწორობა;

ბ) ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვა, მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვისა და დახმარების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა, რომელშიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გენდერული თანასწორობა და ასევე ეფექტური გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის უზრუნველყოფა;

გ) ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა“.[61]

---

[59] ევროპის საბჭოს *კონვენცია. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ პრეამბულა.* 2005

[60] ევროპის საბჭოს *კონვენცია. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ პრეამბულა.* 2005

[61] იქვე;

საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ ადამიანებით ვაჭრობას, როგორც ტრანსნაციონლური დანაშაულის ერთ-ერთ სახედ. თუმცა, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მეტ ძალისხმევას საჭიროებს, ვიდრე მხოლოდ აღიარება. იგი მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას გამოძიებისა და პრევენციის გზით. ამჟამად, ადამიანით ვაჭრობა მესამე (ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობის შემდეგ) ყველაზე დიდ მოგების საშუალებას წარმოადგენს ტრანსნაციონალური კრიმინალური ჯგუფებისთვის.[62]

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოს შექმნის აუცილებლობა. სხვადასხვა ქვეყნის იურისდიქცია განსხვავდება მათი ძალაუფლებით და ძალისხმებით, რომ თავიდან აიცილონ ტრეფიკინგი. ეს დისპერსია საშუალებას აძლევს ადამიანით მოვაჭრეებს ისარგებლონ სუსტი და ღარიბი ქვეყნებით, რომელთა კანონმდებლობაში შესაძლებელია გარკვეული საშულებების პოვნა. აღნიშნულში იგულისხმება აღსრულებისა და გამამტყუნებელი შესაძლებლობების ნაკლებობა.[63]

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, აუცილებელია, შეიქმნას საერთაშორისო სასამართლო, რომელიც თავიდან აირიდებს სხვადასხვა იურისდიქციათა სხვაობებს ტრეფიკინგის თავიდან აცილების ქმედებებით. აღნიშნული განსხვავებები საშუალებას აძლევს ადამიანით მოვაჭრეებს ისარგებლონ სუსტი სახელმწიფოებით და მათი სამართლებრივი ხარვეზებით, რომლებთაც არ გააჩნიათ შესაბამისი სააღსრულებო და გამამტყუნებელი შესაძლებლობები, რაც ადამიანით მოვაჭრეებს საშუალებას

[62] Green J.K., *A Proposal Leading to an International Court to Combat Trafficking in Human Beings*, Nebraska, 2011, გვ. 2
[63] Vujin J., *Human Trafficking in the Balkans: An Inside Repor*t, 2009, გვ. 276

აძლევს სამართლებრივი შეზღუდვების გარეშე მოახდინონ საკუთარი ინტერესების რეალიზება.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის, მნიშვნელოვანია, შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლოები, რომლებიც ითვალისწინებენ მსხვერპლ-ბრალდებულთა საჭიროებებს და ცდილობენ ისეთი საჭიროებების მოგვარებას, როგორიცაა ჩარევა და ტრეფიკინგის შემდგომი ექსპლუატაციის პრევენცია. დღეისათვის სპეციალიზირებული სასამართლოები მხოლოდ სექსუალური ტრეფიკინგის საკითხს განიხილავენ, ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ შეიძლება სხვა ტიპის ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევების იდენტიფიცირება სასამართლო სისტემაში. ტრეფიკინგის სპეციალიზებულ სასამართლოებს შეუძლიათ შემდეგი:

- საქმის იდენტიფიკაცია და შეფასება;
- ტრავმის შესახებ ინფორმირებული სასამართლო პროტოკოლის შექმნა;
- მსხვერპლთან დაკავშირებული სერვისების შეთავაზება;
- სასამართლო შესაბამისობის მონიტორინგი;
- თანამშრომლობისა და შესაძლებლობების განვითარება;
- შეფასებისა და შესრულების ინდიკატორები.[64]

მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოების თანამშრომლობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში სასურველ შედეგს ვერ მოიტანს, საჭიროა, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა, რომელიც იფუნქციონირებს აღმოსავლეთ ევროპის ტრიბუნალის მსგავსად. გლობალური პრევენციის მცდელობა თავდაპირველად უნდა იყოს კონცენტრირებული ტრეფიკინგის წყაროების ქვეყნებზე. ნებისმიერი ახალი

[64] Office for Victims of Crime, *Human Trafficking Courts.*

ხელშეკრულება ან სასამართლო უნდა შეეცადოს მოახდინოს ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მოქმედი რეჟიმების ჰარმონიზება.[65]

გარდა ამისა, აუცილებელია, მოხდეს მოსამართლეების გადამზადება ტრეფიკინგის საკითხებზე, კერძოდ, სასამართლო პროცესების დროს მოწმის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხები, მოწმის დამალვა და პირადი ცხოვრების დაცვა, განაჩენის გამოტანისას სასამართლო განხილვის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება, შესაბამისი შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების ჩათვლით, აგრეთვე, მსხვერპლთა უფლებებისა და კომპენსაციის საკითხები.

[65] Green J.K., *A Proposal Leading to an International Court to Combat Trafficking in Human Beings*, Nebraska, 2011, გვ. 3-4.

4. ადამიანით ვაჭრობის (ტეფიკინგის) სისხლისსამართლებრივი რეგულირება ქართულ კანონმდებლობაში და ჰარმონიზაცია ევროპულ ნორმებთან

4.1. ადამიანით ვაჭრობის (ტეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ნორმები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში

1999 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მოიცავს ადამიანით ვაჭრობის საკითხებს, კერძოდ - ტრეფიკინგი გულისხმობს პირის ძალისმიერი, მოტყუებითი ან იძულების სხვა საშუალებებით გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას ექსპლუატაციის მიზნით, რომელშიც მოიაზრება როგორც კომერციულ-სექსუალური, ასევე შრომითი ექსპლუატაცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლში განსაზღვრულია შემდეგი: „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით“.[66]

საქართველოში ადამიანით ვაჭრობის კრიმინალიზაცია 2003 წელს დაიწყო. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, კერძოდ, 143[1] მუხლით, დასჯადი გახდა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლმა კანონგარეშედ გამოაცხადა

[66] *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,* 1999

არასრულწლოვანით ვაჭრობა. 2007 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კვლავ განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, ამავე კოდექსის 143[3] მუხლით დასჯადად გამოცხადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა.[67]

ადამიანით ვაჭრობაში ექსპლუატაცია მნიშვნელოვანი დეტალია. როგორც ევროპული კონვენციის, ისე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, აღნიშნულში იგულისხმება შრომის ან მომსახურების გაწევა იძულებით, აგრეთვე, დაზარალებულის გარკვეულ საქმიანობაში ჩართვა, მაგალითად, როგორიცაა დანაშაულის ჩადენა, სექსუალური საქმიანობა, შრომითი ექსპლუატაცია და სხვ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის საფუძველზე, შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ სექსუალურ ექსპლუატაციაში მოიაზრება მსხვერპლის ჩართვა სექსუალურ მომსახურებაში, რომლის დროსაც მიღებული გასამრჯელოს უდიდესი ნაწილი სხვა პირს ერგება. ამავე მუხლშია აღწერილი შრომითი ექსპლუატაცია, რაც გულისხმობს სამუშაოს გაწევას დაბალი ანაზღაურებით ან/და ანაზღაურების გარეშე. აღნიშნულის დადგენა შესაძლებელია სხვა დამსაქმებლის პირობებთან შედარებით. [68] ადამიანით ვაჭრობის ყველაზე მძიმე ფორმა მონობაა. მონობის დროს მსხვერპლის ინტერესები მთლიანად უგულებელყოფილია, და ადამიანი ნივთის მნიშვნელობამდეა დაყვანილი.[69]

ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის დადგომის დროს, არ აქვს მნიშვნელობა რა ტიპის ტრეფიკინგთან გვაქვს საქმე, ნებისმიერ შემთხვევაში, მსხვერპლის ინტერესები მთლიანად იგნორირებულია, ხოლო უფლებები დარღვეული, რა დროსაც დამნაშავის ინტერესები ინაცვლებს წინა პლანზე. [70]

---

[67] საქართველოს პროკურატურა, *ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა,* 2006
[68] ჯიშკარიანი, ბ., *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,* 2016, გვ. 206
[69] ჯიშკარიანი, ბ., *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,* 2016, გვ. 207
[70] ჯიშკარიანი, ბ., *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,* 2016, გვ. 206

ადამინით ვაჭრობა ფორმალური დანაშაულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დანაშაულად განსაზღვრისას, რაიმე კონკრეტული შედეგის დადგომა აუცილებელი არაა. თუკი ადამინაით ვაჭრობის პარალელურად, განხორციელდა ადამიანზე მუქარა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 150-ე და 151-ე მუხლებით აღარ მოხდება დამატებითი კვალიფიკაცია, რადგანაც მათი ერთობლიობა ზედმეტია და მსგავსი ტიპის დანაშაული ტრეფიკინგის ერთ-ერთ მეთოდად ითვლება. იგივენაირდ დგება განაჩენი, თუკი საქმე ოჯახის წევრით ვაჭრობას ეხება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე უშვებდა, რომ შეიძლებოდა დამდგარიყო მსხვერპლის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება, მაშინ დანაშაულის განსაზღვრისას, ერთობლიობა წარმოიშობა შესაბამის მუხლთან.[71]

მნიშვნელოვანია, მოვახდინოთ წამყვანი და მეორეხარისხოვანი ფიგურების გაყოფა. ამსრულებელ პირად მიჩნეულია ის, ვინც წამყვანი პირია ადამიანით ვაჭრობის განხორციელების დროს, მაგალითად, ვინც ტრანსპორტირებას ახდენს, ხოლო ვინც ხელი შეუწყო აღნიშნული ქმედების განხორციელაბაში მიჩნეულია, როგორც დამხმარე პირი.[72]

რაც შეეხება არასრულწლოვანთა ტრეფიკინგს, მათ მიმართ ჩადენილი ადამიანით ვაჭრობის შემთხვევა უფრო საშიშ ქმედებადაა მიჩნეული. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნებით ვაჭრობა ცალკე მუხლადაა გამოყოფილი. აღნიშნულ შემთხვევაში, მსხვერპლის ასაკისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, შედარებით მაღალი სანქციებია დაწესებული.[73]

[71] ჯიშკარიანი, ბ., *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,* 2016, გვ. 208
[72] ჯიშკარიანი, ბ., *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,* 2016, გვ. 209
[73] იქვე

4.2. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ ნორმებთან

2003 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გარკვეული ცვლილებები შევიდა. ამ პერიოდში დაინერგა საქართველოს კანონმდებლობაში ტრეფიკინგის ცნება, რადგანაც საქართველოს ხელისუფლებას გაეროსა და ევროსაბჭოს მოთხოვნებთან საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება გააჩნდა.

2005 წელს მიღებული „ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელიც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, საქართველოსთვისაც მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა. ევროპის საბჭოს წევრი და აღნიშნული კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ ევროპის საბჭოს წევრებს შორის უფრო მყარი ერთიანობა უნდა იქნას მიღწეული. აღნიშნულ პროცესში, როგორც ევროპული ორიენტაციისა და ევროკავშირში შესვლის მსურველი ქვეყანაც, აქტიურად ჩაერთო. საქართველომ ამ დროიდან დაიწყო ევროპულ კანონმდებლობასთან საკუთარი სამართლებრივი აქტებისა და კანონების ჰარმონიზაცია.

აღნიშნული პრეამბულის ხელმომწერი მონაწილე ქვეყნების მიერ შეიქმნა მონიტორინგის სპეციალური მექანიზმი, წარმოდგენილი კონვენციის დებულებათა ეფექტურად განხორციელების მიზნით. სწორედ აღნიშნული მონიტორინგის საფუძველზე მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და სახელმწიფოს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შეფასება.

ევროკავშირის დირექტივა, აგრეთვე, მოიცავს კონკრეტულ სანქციებსა და მინიმალურ სტანდარტებს ბავშვთა ტრეფიკინგთან ბრძოლის

ხელშესაწყობად. კერძოდ, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია უნდა ისჯებოდეს მინიმუმ 5 წლით თავისუფლების აღკვეთით, ბავშვთა პორნოგრაფია - 1-3 წლამდე, ხოლო სექსუალური მიზნებით ბავშვთან კონტაქტი - სულ მცირე 1 წლით თავისუფლების აღკვეთით.[74] გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან სათანადო დახმარება გაუწიონ ტრეფიკინგის მსხვერპლს.

ეუთომ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საქართველოს პოლიტიკა და ეროვნული რეფერალური მექანიზმი წარმატებულად მოიხსენია და მოახდინა მისი ასახვა ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული რეფერალური მექანიზმების საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოში. აგრეთვე, 2018 წლის 9 ნოემბერს, ქ. სტრასბურგში, „ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის“ (GRETA) შვიდ წევრში საქართველოც მოხვდა. საქართველო საკუთარ მოვალეობას 2022 წლის ჩათვლით შეასრულებს. „მონობის გლობალური ინდექსის“ 2018 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველომ ტრეფიკინგთან ბრძოლის ეფექტიანობის მსოფლიო რეიტინგში მე-15 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო რეგიონში კვლავ პირველ ადგილს ინარჩუნებს.[75]

იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და ტრეფიკინგის შემთხვევების შემცირება, აუცილებელია, მათზე მომუშავე ადამიანური რესურსების განვითარება და მათთვის ევროპული სტანდარტების გაცნობა. ამიტომაც, ქართველი კოლეგებისთვის მთელი რიგი ტრენინგები და გადამზადებები

[74] ჯიშკარიანი ბ., ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, 2018, გვ. 219-220.

[75] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, *საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა*, თბილისი. 2019

განხორციელდა, რომელიც განხორციელდა ტრეფიკინგის თემატიკაზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

ევროპასთან ჰარმონიზაციის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა სახელისუფლებო უწყებებისა და საგამოძიებო სამსახურების მიერ კოორდინირებული სამუშაო სისტემა შეიქმნა. კერძოდ, პროკურატურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის, სახელმწიფო ფონდისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობით დაიწყო ერთიანი სამუშაო პროცესი ტრეფიკინგის წინააღმდეგ, რომელშიც, ასევე, საკუთარი კომპეტენციებიდან გამომდინარე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც მონაწილეობენ.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში, უაღრესად მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება. აღნიშნული გაწერილია ეროვნული სამოქმედო გეგმის ამოცანათა სიაში. კერძოდ, ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება ითვალისწინებს საგანმანათლებლო აქტივობებს სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; სატელევიზიო და სხვა მედია საშუალებებითა და საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელებით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. აგრეთვე, უნდა გაიმართოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული და მსოფლიო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომელიც ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს.[76]

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. დღესდღეობით აქტიურად

[76] მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, *საჭიროებათა შეფასება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, თბილისი, 2016*

ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ღონისძიებები, რაც გულისხმობს ტრეფიკინგის თავიდან აცილებას, დანაშაულის ეფექტიან გამოძიებას, სისხლის სამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტიანი დახმარების აღმოჩენას, მათ საფუძვლიან რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციასა და თანამშრომლობას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, განხორციელდეს სამართალდაცვის სფეროში თანამშრომლობის მიღმა, საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლების და პოტენციური მსხვერპლების მხარდაჭერისა და ტრეფიკინგის პრევენციის მიმართულებით.

დასკვნა

მსოფლიო მასშტაბით, ადამიანით ვაჭრობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც ტრანსნაციონალური დანაშაულის სახე აქვს მიღებული. შესაბამისად, ტრეფიკინგთან ბრძოლა საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მსოფლიო ქვეყნებთან ერთადაა საქართველოც. ტრეფიკინგის გამომწვევ მიზეზებს რამდენიმე მნიშვნელოვანი და რთულად გადასაჭრელი პრობლემა წარმოადგენს. მათ შორისაა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და სიღარიბე. ეკონიმიკური მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს ტრეფიკინგის შემთხვევებზე. დაბალშემოსავლიან ქვეყანაში მცხოვრებნი ადამიანით მოვაჭრეების სამიზნეები ხდებიან. ისინი ადვილად თანხმდებიან დაბალანაზღაურებად სამსახურს, მიგრაციას და სხვა რისკის შემცველ საქმიანობას ფინანსური სარგებლის მიღების სანაცვლოდ.

განათლებისა და ცნობიერების დაბალი დონე, აგრეთვე, ადამიანით ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ტრეფიკინგის შემთხვევების ანალიზისას გამოიკვეთა. ჯერ კიდევ 1932 წელს დაიწყეს სახელმწიფოებმა ზრუნვა განათლების განვითარებაზე ტრეფიკინგის კუთხით. განათლების დაბალი დონე იწვევს დაბალხელფასიან სამსახურში დასაქმებას, რაც ზრდის ტრეფიკინგის დამნაშავეთა ობიექტში მოხვედრის რისკს. დაბალი ცნობიერების დონე კი იწვევს საკუთარი ფუნდამენტური ადამიანის უფლებების არცოდნას. ორივე ფაქტორი ხელს უწყობს ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომას. შესაბამისად, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად.

ბევრ ქვეყანაში კულტურული და სოციალური ფაქტორები ხელს უწყობენ ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევების დამალვას, რაც თავის მხრივ,

ზრდის აღნიშნული დანაშაულის რისკს. კერძოდ, კულტურული და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლოა, ტრეფიკინგის მსხვერპლმა დამალოს და არ წარუდგინოს დანაშაული შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. აგრეთვე, საყურადღებოა, ადამიანით მოვაჭრეების მსხვერპლი ქალებისა და ბავშვების მზრდადი რიცხვი. აღსანიშნავია, რომ უმცირესობების ჯგუფები, მათ შორის, ლგბტქი+ ადამიანები საზოგადოების მხრიდან უფრო მკაცრ სტიგმას აწყდებიან. ისინი ხშირად არ აცხადებენ დანაშაულის შესახებ, აგრეთვე, შემდგომში არ გააჩნია შესაბამისი მსხვერპლთა მომსახურებების შესაძლებლობა.

ადამიანით ვაჭრობის ძირითადი მიზეზების გააზრებით, ქვეყნებმა უნდა დაიწყონ საბაზისო მიზეზებისა და პრობლემების გადაწყვეტა. კერძოდ, უნდა მოხდეს:

- ადამიანის უფლებების დაცვა, მათთვის საკუთარი უფლებების გაცნობა;
- ხალხის დახმარება განათლებისა და ინფორმაციისადმი ხელმისაწდვომობაში;
- ღარიბი ქვეყნებისა და მოსახლეობის ჯგუფების ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობა;
- ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ კანონების მიღება, განხორციელება და აღსრულება;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მაღალი ხარისხის ჯანდაცვის, სოციალური და სისხლის სამართლის დამხმარე სერვისების ხელმისაწვდომობის შექმნა;
- სხვა ქვეყნის მთავრობებთან თანამშრომლობა ტრეფიკინგის პრევენციის და აღკვეთის მიზნით, რათა გაიზარდოს სისხლის სამართლის ქსელის დევნა, რომელიც სცილდება ეროვნულ საზღვრებს. მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოების

თანამშრომლობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში სასურველ შედეგს ვერ მოიტანს;

- ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა, რომელიც იფუნქციონირებს აღმოსავლეთ ევროპის ტრიბუნალის მსგავსად.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანია მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული თანამშრომლობა. უნდა შეიქმნას საერთაშორისო სასამართლო, რომელიც თავიდან აირიდებს სხვადასხვა იურისდიქციათა სხვაობებს ტრეფიკინგის თავიდან აცილების ქმედებებით. ერთიანი ბრძოლა და საქმიანობა უფრო დიდ შედეგს მოიტანს.

აგრეთვე, ადამიანით ვაჭრობის შემცირების მიზნით, უნდა შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლოები, რომლებიც გაითვალისწინებენ მსხვერპლ-ბრალდებულთა საჭიროებებს; რომლის მიზანია ჩარევა, აღსრულება და ტრეფიკინგის შემდგომი ექსპლუატაციის პრევენცია.

გარდა ამისა, აუცილებელია, მოხდეს მოსამართლეების გადამზადება ტრეფიკინგის საკითხებზე, კერძოდ, სასამართლო პროცესების დროს მოწმის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მოწმის დამალვა და პირადი ცხოვრების დაცვა, განაჩენის გამოტანისას სასამართლო განხილვის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება, შესაბამისი შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მსხვერპლთა უფლებებისა და კომპენსაციის საკითხები და სხვა.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი აქვს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს. შესაბამისად, იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ადამიანით ვაჭრობის თემატიკაზე მუშაობენ, კერძოდ, მსხვერპლთა მომსახურება ან/და ტრეფიკინგის პრევენცია, უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა. სწორედ

ეს ორგანიზაციები მოახდენენ ტრეფიკინგის წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებში არასახელმწიფო სუბიექტების განსაზღვრასა და მათთან პარტნიორობას, რაც ხელს შუწყობს ტრეფიკინგის რისკის შესახებ მოწყვლადი მიგრანტების, მათ შორის არალეგალურ სიტუაციაში მყოფთა ცნობიერების ამაღლებას, რაც თავის მხრივ, შეამცირებს ადამიანთა ვაჭრობის რისკებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაძაღუა, მ. 2011. „ადამიანთა ვაჭრობა - ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე).“ თბილისი
2. დოლიძე, ი. 1963. „ქართული სამართლის ძეგლები.“ თბილისი.
3. ნათმელაძე, მ. დაუშვილი ა. 2005. „საქართველოს უახლესი ისტორია“. თბილისი
4. მესხი, მ. 2014. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები, მასთან ბრძოლის მეთოდები, გამოცდილება და პერსპექტივათა ხედვა, თბილისი
5. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. 2016. საჭიროებათა შეფასება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში. თბილისი
6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2019. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა.
7. ჯიშკარიანი, ბ. 2018. ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში. თბილისი. „იურისტების სამყარო“
8. ჯიშკარიანი, ბ. 2016. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი
9. American Psychological Association. 2017. „Facts About Trafficking of Women and Girls.“ Washington DC
8. Castles, S. & Miller, M.J. 1998. The age of migration: internation al population movements in the modern world. Guilford Press
9. Green, J. C. 2011. "A Proposal Leading to an International Court to Combat Trafficking in Human Beings". Third Annual Interdisciplinary Conference on Human Trafficking, მოძიებულია 2021 წლის 5 მაისს

https://digitalcommons.unl.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1012&context=humtraffconf3

10. Hughes, D. M. 2008. „Combating Sex Trafficking: A Perpetrator-Focused Approach.“ Rhode Island.

11. Human Rights Careers. 2020. „Causes of Human Trafficking.“

12. Human Rights First. 2017. „Human Trafficking by the Numbers.“ New York

13. Human Rights in Georgia. 2014. „ტრეფიკინგი საქართველოში.“ მოძიებულია 2021 წლის 2 ივნისს http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=5880&lang=geo

14. International Labour Organization (ILO). 2018. „Annual Report 2017.“ Geneva. მოძიებულია 2021 წლის 27 მაისს https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/documents/publication/wcms_618853.pdf

15. International Labour Organization (ILO). 2014. „Profits and Poverty: The Economics of Forced Labor.“ Geneva

16. International Organization for Migration . 2017. „Counter-trafficking Data Collaborative.“

17. International Organization for Migration. 2008. „Migration in Georgia: A Country Profile.“

18. Jasna V. 2009. Human Trafficking in the Balkans: An Inside Report, 4 Intercultural Hum. Rts. L. Rev. 267

19. Martinez, O., Kelle, G. 2013. Sex Trafficking of LGBT Individuals: A Call for Service Provision, Research and Action. The International Law News

20. Oster, G. 2015. „The History of Human Trafficking.“ მოძიებულია 2021 წლის 15 მაისს https://hankeringforhistory.com/the-history-of-human-

trafficking/#:~:text=Following%20the%20above%20definition%2C%20the,international%20flow%20of%20human%20trafficking

21. Pugliese, E. 2007. Organ Trafficking and the TVPA: Why One Word Makes a Difference in International Enforcement Efforts, 24 J. Contemp. Health L. & Pol'y 181, 193

22. SAGE. 2018. „Introduction and History of Human Traffiking and Modern Day Slavery." მოძიებულია 2021 წლის 15 მაისს https://us.sagepub.com/sites/default/files/upm-assets/86866_book_item_86866.pdf

23. Save the Children and others. 2015. „Children's Ebola Recovery Assessment: Sierra Leone."

24. The Office on Women's Health. 2018. „Human trafficking." Washington DC

25. U.S. Department of State. 2016. „Trafficking in Persons Report 2016."

26. UNICRI. 2020. „A Short History of Trafficking in Persons." Turin

27. United Nations General Assembly. 2020. „Trafficking in Women and Girls." მოძიებულია 2021 წლის 18 მაისს https://undocs.org/en/A/75/289

28. United Nations. 2021. „Human Traffiking." მოძიებულია 2021 წლის 18 მაისს https://www.unodc.org/unodc/en/human-trafficking/faqs.html

29. United Nations Office on Drugs and Crime (UNODC). 2021. „Crime - Human Traffiking." მოძიებულია 2021 წლის 18 მაისს https://www.unodc.org/unodc/en/human-trafficking/crime.html

30. United Nations Office on Drugs and Crime (UNODC). 2020. „Global Report on Trafficking in Persons." Vienna. მოძიებულია 2021 წლის 18 მაისს https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/tip/2021/GLOTiP_2020_15jan_web.pdf

31. United Nations Office on Drugs and Crime (UNODC). 2020. „Impact of the COVID-19 Pandemic on Trafficking in Persons: Preliminary Findings and Messaging based on Rapid Stocktaking.“

32. United Nations. 2020. „Trafficking in Women and Girls.“ მოძიებულია 2021 წლის 18 მაისს https://undocs.org/en/A/75/289

33. United Nations. 2004. „United Nations Convention Against Transnational Organized Crime and the Protocols Thereto.“ New York. მოძიებულია 2021 წლის 28 მაისს https://www.unodc.org/documents/treaties/UNTOC/Publications/TOC%20Convention/TOCebook-e.pdf

34. UN-Women and Office for Democratic Institutions and Human Rights. 2020. „The impacts of COVID-19 on trafficking in persons.“

35. Verité. 2020. „COVID-19 and Vulnerability to Human Trafficking for Forced Labor“

36. Vujin, J., 2009, Human Trafficking in the Balkans: An Inside Report, მოძიებულია 2021 წლის 27 მაისს https://www.stu.edu/Portals/Law/docs/human-rights/ihrlr/volumes/4/267-316-JasnaVujin-HumanTraffickingintheBalkansAninsideReportHumanTraffickingGlobalandLocalPerspectives.pdf

37. Xian, K., Chock, S., and Dwiggins, D. . 2017. LGBTQ Youth and Vulnerability to Sex Trafficking, in Human Trafficking. Springer

საკანონმდებლო აქტები

1. ევროპის საბჭოს კონვენცია. 2005. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ პრეამბულა
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999
3. United Nations. 1950. „Convention for the Suppression of the Traffic in Women and Children“

ინტერნეტრესურსები

1. რეხვიაშვილი, ჯ. 2012. „ტრეფიკინგი საქართველოში.“ თბილისი. მოძიებულია 2021 წლის 1 ივნისს https://www.radiotavisupleba.ge/a/trafficking-in-georgia/24621294.html.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2020. „საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზეა.“ მოძიებულია 2021 წლის 25 მაისს https://police.ge/ge/saqartvelo-adamianit-vachrobis-trefikingis-tsinaaghmdeg-mebrdzoli-qveknebis-shefasebis-umaghles-safekhurzea/13779
3. ACRATH. 2021. „Aspects of Human Trafficking.“ Melbourne. მოძიებულია 2021 წლის 20 მაისს https://acrath.org.au/resources/human-trafficking/aspects-of-human-trafficking/#top
4. Global Alliance Against Traffic in Women. 2021. „Traffic in Women.“ Bangkok. მოძიებულია 2021 წლის 20 მაისს https://www.gaatw.org/

5. Office for Victims of Crime. Human Trafficking Courts. მოძიებულია 2021 წლის 31 მაისს https://ovc.ojp.gov/program/human-trafficking/training-and-technical-assistance-resources